


12

1134 /2
2016

პრიტი



2016/თ. 12

12 (254)

პრიტი

პრიტი



თარგმანი 1 ვერგილიუსი | ენეიდა - პირველი სიმღერა
ლათინურიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა

15 რობერტ შასი | ლექსები
ინგლისურიდან თარგმნა ზვიად რატიანმა

20 ანეტ პენტი | საჩუქრები
გერმანულიდან თარგმნა კატია ვოლტერსმა

პროზა 21 ბაჩო კვირტია | ბამბის ნამცეცვი

პოეზია 25 დათო ქარდავა

29 გელა ჩქეანავა

35 ლელა სამნიაშვილი

კრიტიკა 37 მაიკლ ჰოფმანი | უნდა გაუმკლავდე უსუსურ არსებებს
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

რეცენზია 44 თამარ სუხიშვილი | ჩანაწერები ისტორიისათვის

გარეკანი: მამუკა ტყემელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariil"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
მადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყემელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რადი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლამა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალაღერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმიერ რეზიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულუსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

პრილი - ფასსპენსიული სინდონდოთა

სულბანაძე

პრილი - მზის შუქი, რამაზე დამდარი

ქართული ზნის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარული

ხალბურ

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ყურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა და
ძეგლის დაცვის სამინისტროს
ფინანსურა მხარდაჭერით




მეცნიერება
საზოგადოება

ვერგილიუსი

ენეიდა

პირველი სიმღერა

ლათინურიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა



ორი სიტყვა „ენეიდაზე“

სხვა დროშიც მომხდარა ასეთი რამ, სხვა ქვეყანაშიც მომხდარა: დიდებულმა საუკუნემ ნაციონალური ეპოსი მოითხოვა, ოქროს საუკუნემ თავისი უკვდავების პოეტური დადასტურება მოითხოვა. ყველას გვახსოვს ჩვენი გენიოსის სიტყვები: „მობრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა...“

ეს ამბავი რომში სულ უბრალოდ მომხდარა: იმპერატორ ოქტავიანუსს დაუდგენია, რომ რომის დიდება, მისი პირველი პოზიცია იმდროინდელ მსოფლიოში მხოლოდ რომაულ სამხედრო ძლიერებას ეყრდნობოდა და სათანადოდ არ არის გამყარებული ჰუმანიტარული ფაქტორით. საკმარისი არ იყო დიდი იმპერია, სახელგანთქმული თავისი კანონებითა და ლეგიონებით. საამაყო რომაული სამართალიც კი არ იყო საკმარისი. საჭირო იყო საკუთარი დიდი ლიტერატურა, საკუთარი თეატრი და ა.შ. და იმპერატორს, რომელმაც მანამდე ყველა ომი მოიგო, სამუდამო მშვიდობა დაამყარა, იანუსის ტაძარი საგულდაგულოდ გამოკეტა, ხოლო იმპერიის დედაქალაქი მარმარილოს ქალაქად აქცია, ქვემარცხად იმპერატორული გადანყვებილება მიუღია: რომის უპირველესი პოეტი, ბუბლიუს ვერგილიუს მარო, დაუბარებია და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე არც მეტი, არც ნაკლები, ნაციონალური ეპოსის ანუ ეროვნული ლიტერატურის მთავარი ძეგლის შექმნა დაუვალებია. ვერგილიუსს ეს ამბიციური დავალება უდრტვიწველად მიუღია და სრული სერიოზულობით შედგომია რომაული ლიტერატურის მთავარი ქმნილების წერას.

ასეა იოლია ამის თქმა, მაგრამ მაშინ ამას ვერავინ გაიგებდა: ვერგილიუსმა პოსტმოდერნიზმის პირველი შედეგები შექმნა. საწყისად პომეროსის „ილიადაც“ აუღია და „ოდისეაც“, მითოლოგიურ კრებულებშიც ჩაუხედავს, ბერძნული ტრაგედიებიც შეუსწავლია და კომედიებიც, - ასე დაიბადა საბერძნეთიდან და პომეროსის კრებებიდან „ენეიდა“, შემდგომში „ენეიდიდან“ - „ლვთაბერძენი კომედია“, „ილიადიდან“, „ოდისეიდან“ და „ენეიდიდან“ - „ულისე“, ომი და მშვიდობა“ და ასე შემდეგ დაუსრულებლად. ვერგილიუსმა პომეროსი „შეავსო“: ტროის ამბების მოყვარულებმა „ენეიდიდან“ მეორე მხრიდან დანახული ომის გარდა თვალნათლივ დაგინახებო ტროის უზარმაზარი ცხენი, ზღვიდან ამოსული გვე-



ლებიდან დაკბენილი ლაოკოონი და მისი ვაჟები, დანტეს „ფოჯოხეთის“ მერვე გარსის ღვიძლი მკვიდრის, სინონის, ანატოლიური და ჰომეროსის კალმის ღირსი დიდო და კამილა.

რომში უკვე ყველამ იცოდა, რომ მალე საკუთარი ჰომეროსი ეყვლებოდათ. რომაული პოეზიის მომავალი გრანდიოზული ძეგლისთვის ევროპის თანამედროვეს, ოღონდ ნაკლებ პოეტს, სექსტუს ავრელიუს პროპერტიუსს, წინასწარ ასე მოუხადებია მალად პიედესტალი (ელეგები, ნიგნი მეორე, სტრ. 55-56):

Cedite Romani scriptores, cedite Grai,
Nescioquid maius nascitur Iliade.

გზა დაუთმეთ, რომელიო მწერლებო,
გზა დაუთმეთ, გერმანო,
რადაც ილიადაზე უფრო დიდი იბადება.

ათი წელი წერდა ვერგილიუსი თავის მთავარ ნაწარმოებს. „ილიადაზე უფრო დიდი“ პოემისთვის საბოლოო სახის მისაცემად საბერძნეთში გაემგზავრა. როგორც საკუთარ რჩეულს, ზედიზურა მას სიურპრიზებს უმზადებდა: ათენში ავეგუსტუსს შეხვდა და, მისი რჩევით, შინ დაბრუნება გადაწყვიტა. გზად ქალაქ მეგარაში ჩავიდა, იქ გაცივდა, ავადმყოფობამ დასუსტა, გემით მგზავრობა ვერ გადაიტანა და ძვ. წ. 19 წლის 21 სექტემბერს სამხრეთ იტალიაში, აპულიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, ბრუნდისიუმის (დრედენდილი ბრინჯისი) ნავსადგურში გარდაიცვალა. ერთი ცნობით, სულთმოპოვებელ გენოსის „ენეიდის“ ხელნაწერი გულში ჰქონია ჩახუტებული.

აქ კაცკამდე ოცი საუკუნით ადრე წმინდად კაციათა სიტუაცია გათამაშებულია: სიკვდილის წინ ვერგილიუსს მეგარებებისთვის კატეგორიულად მოუთხოვია, პოემის „შავი“ ვერსია, დაუსრულებელი „ენეიდა“, როგორც „ილიადისა“ და „ოდისეის“ არასრულყოფილი მემკვიდრე ცეცხლისთვის მიეცათ. რომაული რელიგიის მიხედვით, იმევეყნად მიმავალი ადამიანის უკანასკნელი ნება წმიდათა წმიდა იყო. მომავლადი პოეტის სურვილი აუცილებლად ასრულებოდა და ევროპული ლიტერატურა თავის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს დაკარგავდა, იმპერატორ ავეგუსტუსს მართლაც იმპერატორული და აპკარად მკრებელური ნაბიჯი რომ არ გადაეცა და არ გზადანებინა ლუკიუს ვარიუს რუსუსისა და პოტიუს ტუკატუსის, არანაირი ყურადღება არ მიექციათ მომავლადის უკანასკნელი, წმინდა და ხელშეუხებელი ნებისთვის და „ენეიდა“ მცირეოდენი სარედაქციო ცვლილებებით სასწაულოდ გამოცემით. ასე უბრძანა იმპერატორმა უკუდავებას, ახალი წვერი მიეღო და ასე დანებდა მარადიულობა ამევეყნიური მეუფის ნებას. ისტორიას რომ უკუქცევითი ძალა ჰქონოდა, მაქს ბროდს სიკეთეს არ დაუფინყებდა და ავეგუსტუსის სრულ სახელს ასე ჩამოაყალიბებდა: გაიუს იულიუს კეისარ ავეგუსტუს ოქტა-

ვიანუს მაქსიმუს პროდუს.

ვარიუსმა და პოტიუსმა ავეგუსტუსის ბრძანება პირნათლად შეასრულეს: პოემა გამოსცეს ყოველგვარი ცვლილებების გარეშე, მხოლოდ ერთ-ორი ადგილი შეამოკლეს.

მეკლერებო დღემდე კამათობენ, რამდენად დასრულებულია „ენეიდა“. კამათს რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. აპკარა, რომ პოემაში არის რამდენიმე დაუსრულებელი სტრიქონი: თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აზრი მათში დასრულებულია. მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს ნაკლები სტრიქონი დაუსრულებელი აზრით. საბოლოოდ ერთ სამეზე ყველა შეთანხმდა „ენეიდა“ იმ სახით, რა სახითაც ხელთ გვაქვს, არის მსოფლიო ლიტერატურის დიდი შედეგი, პოეტის დიდი გამარჯვება და ახალი სიტყვა ევროპულ ლიტერატურაში.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს „ენეიდას“ - რომან მიმინოპეილა მისი პოეტური თარგმანი პირველად 1976 წელს გამოსცა. ამ თარგმანით ისწავლებოდა და ისწავლება ეს დიდი ნიგნი საქართველოში.

სტუდენტობისას პლავტუსის ერთ-ერთი კომედია, „ჟესტიფიკუსი“, ვთარგმნე და ჩემს მასწავლებელს, ყველა დროის ყველაზე დიდ ქართველ ლათინისტს, ირაკლი შენგელიას, ვაჩვენე. ზომიერად მოეწონა. მაშინ გაუგებდ და „ენეიდის“ პირველი სიმღერის დასასრულის პოეტური თარგმანიც ვაჩვენე. სასტიკად არ მოეწონა. ახლაც ჩამხსმის მისი ნათქვამი: „შე არამზადავ (Я не мезадаю, - ასე იცოდა მოსიყვარულელი), ვერგილიუსი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოეტია, ლოდოვიკო სიტეშპრინი მას ჰომეროსზე მაღლაც კი აყენებდა, როგორ შეეძა მისი შეუდარებელი მექანიკურის პოეტურად თარგმნას; ლეკონტ დე ლილმა, შენზე ცოტა უფრო დიდმა პოეტმა, „ენეიდა“ ფრანგულად პროზად თარგმნა და შენ რა პოეტობა აგიტყდაო. დამიჯერო, პლავტუსს თავი დაანებე და ვერგილიუსის მთავარი ნიგნი ქართულად თარგმნე, ოღონდ პროზად“.

ირაკლი შენგელია 1983 წლის ბოლოს გარდაიცვალა; 1984 წლის 3 იანვარს დავკარგეთ. მეორე დღეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დამაპატიმრა და ამით, თავისდა უნებურად, კიდევ უფრო დამაპატიმრა მასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ირაკლი შენგელია ყოფილი პოლიტპატიმარი იყო). მისი „დავალება“ წლების მანძილზე მოსვენებას არ მაძლევდა; რამდენჯერმე ნამოწიყე „ენეიდის“ თარგმნა, მაგრამ ვერარ გავაგრძელებ - დასაბამი არაფერია, მეტისმეტად რთული აღმოჩნდა. ბოლოს, „ილიადის“ თარგმნის შემდეგ ისევ შეუებდე ვერგილიუსს. მართალია, ოცდაათი წლით დავავიგე, მაგრამ მაინც შევასრულე ჩემი საკუთარი ოქტავიანუს ავეგუსტუსის, ჩემი საყვარელი მასწავლებლის, უკანასკნელი დავალება: „ენეიდის“ პროზაული თარგმანი დასრულებულია და მკითხველის შეფასებას ელის.

მთარგმნელი




იარაღსა და კაცს ვუშლერი, რომელიც, ბედის-
ვან დევნილი, ტროის ნაპირებიდან მიწველი ჩავიდა
იტალიაში¹ და მოადგა ლავინიუმის სანაპიროს²; უამ-
რავჯერ მიხეთქა იგი აქეთ-იქით ზღვასა და ხმე-
ლეთს უზენაესმა ძალამ, სასტიკი იუნოს მრისხანე-
ბამ; ათასი ქარი და უამრავი ომი გადაიტანა, სანამ
დააარსებდა ქალაქს და ღმერთებს შეიყვანდა ლა-
ტიუმში³, ლატინთა მოდგმის, ალბის მამებისა⁴ და
რომის მაღალი ცალკენის სამშობლოში.

მუზაზე, შემახსენე მიწეზე, რით შეურაცხყო, ასე-
თი რა ატყინა ღმერთების დედოფალს⁵, რომ ამ დღე-
ნი ჩაადგო [10] სათნოებით სავსე ვაჟაკი და ამდენი
განსაცდელი მოუვლინა? ნუთუ ღმერთის სულს
ამოღდა მრისხანება შეუღლია?

ძველი ქალაქი იყო⁶, ტიროსელ ახალმოშენებს
ეკუთვნოდა. კართაგენი, იტალიის მოპირდაპირე მხა-
რეს. მდიანური ტიბონის მესართავიდან შორს, ყვე-
ლდღური მჟღერი და ომებში გამობრძნედილი; ამ-
ბობდნენ, იუნო მას ყველა მინაზე მეტად პატრო-

ნობდა, სამოსზეც⁷ კი ნაკლებად ზრუნავდა⁸, მისი
მისი იარაღი, აქ იყო მისი ეტლი; ქალღმერთი იმე-
დოვნებდა და ზრუნავდა, რომ, თუ ბედიც ისურვებ-
და, იგი ხალხთა სამეფოდ ექცია; ოღონდ გაგონილი
ჰქონდა, ტროული სისხლისგან მომდინარე მოდგმა
[20] ოდესმე ტიროსელების სიმაგრეებს დააქცევს-
სო⁹; აქედან მოუვლიოს მმართველი და ომით ამავი
ხალხი მთავა ლიბის დასალეუპავად, ასე დაადგინეს
პარკებმაო. ამის ემინოდა და ახსოვდა ძველი ომი
სატურნისას¹⁰, როდესაც ტროასთან იბრძოდა ძვირ-
ფასი არგოსელებისთვის¹¹ - ჯერაც არ გასულიყო
მისი სულიდან რისხვის მიზეზი და სასტიკი ტკივი-
ლები ღრმად იყო დამარხული მის გონებაში: პარი-
სის¹² აჩრევანი და დედოფლის სილამაზის მუ-
რაცხმეფი უარყოფა, აუტანელი მოდგმა¹³ და
მოტაცებული განიმედების პატივი. ამ ამბების გამო
აგზავნებოდა, მთელ ოკეანეში ათრევდა [30] ტირო-
ლებს, რომლებიც გადაუარსენ დანაღებებს¹⁴ და და-
უნდობელ აქილეესს; შორს აკავებდა ლათიუმიდან

1. სტრ. 1. პირველი ... ჩამოვიდა იტალიაში - პირველი ნიგინს 242-ე სტრიქონში ნათქვამია, რომ იტალიის მიწაზე პირ-
ველი ანტიკური ჩამოვიდა; თუმცა ვერგილიუსისთვის აქ არ არის არავალდებულობა: ანტიკური იტალიის იმ ნაწილ-
ში ჩავიდა, რომელიც, სერვიუსის განმარტებით, მაშინ იტალიად არც ითვლებოდა. უახლესი კომენტატორები, რო-
გორც წესი, უფიქრებენ, რომ ენეასი პირველი იყო იმამგან, ვისაც რომი უნდა დაეარსებინა.
2. სტრ. 2. ...ლავინიუმის სანაპიროს - იგულისხმება იტალიის დასავლეთი სანაპირო. ვერგილიუსი მას ქალაქ ლავინიუ-
მის სახელით მოიხსენიებს, რომელიც, გადმოცემით, ენეასს დაუფუძნებია თავისი მეუღლის, ლავინიას საპატიე-
ცემოდ.
3. სტრ. 6. ...ღმერთებს შეიყვანდა ლატუმში - იგულისხმება პენატები და ლარები, ოჯახის, საშინაო ყოფის, ადამი-
ანისა და მათი შრომის მფარველი ღმერთები. თითოეული სახელმწიფოს, ქალაქს, სოფელს, ოჯახს თავისი პენატები
შეჟავდა. მათი მისი გამოსახულებები კერაზე იდგა და წარმოადგენდა სახლის, ოჯახის, მოდგმის სიმბოლოს.
ტროული პენატების ცენტრალური იტალიაში, ლატუმში გადაყვანა აღნიშნავს, რომ ტროა აქ პოულობდა თავის
ახალ სამშობლოს, სახლს.
4. სტრ. 7. ალბის მამები - უძველესი იტალიური ქალაქია, ალბა ლონგის (Alba Longa, გრძელი ალბა) დაფუძნება მიე-
წერებოდა ასკანიუსს, ენეასის ძეს. რომის ლეგენდარული დამაარსებელი რომულუსი ალბა ლონგის მეფის, ნუმე-
ტორის შვილიშვილი იყო; სწორედ ალბის მეფეები ითვლებიან რომაელებისთვის დამფუძნებელ „მამებად“.
5. სტრ. 9. ღმერთების დედოფალი - იუნო.
6. სტრ. 12. ძველი ქალაქი იყო... - კართაგენი; ეს ქალაქი ძვ. წ. 814 წ. დააარსეს ფინიკიელებმა, რომლებსაც ვერგილი-
უსი უწენებს ან, ფინიკიის შთაგანი ქალაქების სახელების მიხედვით, ტიროსელებსა და სიდონიელებს უწოდებს.
7. სტრ. 16. ...სამოსზეც კი ნაკლებად ზრუნავდა... - კუნძული სამოსი ეგეეის ზღვაში ჰერას (იონოს) კულტის ცენტრი
იყო; ამ ქალღმერთისადმი მიძღვნილი ტაძარი კი, პეროდოტოსის ცნობით, ერთ-ერთი ცველაზე დიდი იყო მთელ
საბერძნეთში.
8. სტრ. 19-20. ...ტროული სისხლისგან მომდინარე მოდგმა ოდესმე ტიროსელების სიმაგრეებს დააქცევს... - იგუ-
ლისხმობს რომაელები, რომელთაც კართაგენი სამ პუნიკურ ომში დაამარცხეს და საბოლოოდ განადგურეს ქა-
ლად ძვ. წ. 146 წელს; თუმცა, კომენტატორთა ნაწილი (მათ შორის სერვიუსიც) თვლის, რომ ვერგილიუსი აქ პირ-
დაპირ მითითებს სკიპიო ემილიანუს აფრიკელ უმცროსზე, კართაგენის გამანადგურებელზე, რადგან
ითვლებოდა, რომ ემილიანუსები ასკანიუსის ვაჟის, ემილიუსის, შთამომავლები იყვნენ.
9. სტრ. 23. სატურნია - იუნო, სატურნუსის ასული.
10. სტრ. 24. ...ტროასთან იბრძოდა ძვირფასი არგოსელებისთვის - ტროის ომში იუნო პერძნების მხარეს იბრძოდა,
რომლებიც აქ, ქალაქ არგოსის სახელია მისცდით, არგოსელებად არიან მოხსენიებული; არგოსი იუნოს კულტის
ერთ-ერთი ცენტრი იყო.
11. სტრ. 27. პარისი - ტროის უფლისწული, მცვე პრიამისა ძე; ზეესნა მას მანადო, გადაეცემა, თუ რომელი ქალ-
ღმერთი იყო ყველაზე მშვენიერი იუნოა, მინერვასა და ვესუს შორის. პარისმა უპირატესობა სიყვარულის ქალ-
ღმერთს, ვესუსს, მიაწიდა.
12. სტრ. 26. ...აუტანელი მოდგმა - ტროის მეფეთა მოდგმა, რომელიც დარდანიოსისგან მომდინარეობდა. ამ მოდგმას ეკუთ-
ვნოთ ენეასიც და პარისიც. დარდანიოსი ნიშნავს ელექტრამ უნდა იუპიტერს. იუპიტერის მიწერილ შეუღლებისადმი და მათი
შთამომავლებისადმი იუნოს სიძულვილი ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ტრადიციული მოტივია. ...განმეცდების
პატივი - ულამაზესი ტროული ყმათილი განმეცდესი იუპიტერმა მოიხატა და ოლიმპოსზე ღმერთების მერიკოდელ
დესავს მიაწიდა; ეს პატივი იუპიტერისა და იუნოს ახალ იუვენტუსს (ბერძნული მითოლოგიის ჰესტე) ერგებოდა.
13. სტრ. 30. დანაღები - ბერძნები; ეს სახელი ეწოდათ ეგვიპტიდან საბერძნეთში გადასული დანაგს საიკლის მისედიით.



და მრავალ წელს ახერხებდა, წერას ატანილებს, მთელ ოკეანეში. ასე მძიმე იყო რომელი ხალხის დაფუძნების ტვირთი.

როგორც კი თვალს მიეფარა სიცილიის მიწა, სი-
ხარულით გაშალეს იალქანი და სპილენძით ააქა-
ფეს¹⁴ ზღვა, შეკრდში სამარადისოდ დაჭრილმა იუნომ
მაშინვე საკუთარ თავს მიმართა: „ნუთუ უნდა შევ-
სყვიტო დაწყებული საქმე, უნდა დავმარცხდე, ვერ
უნდა შევძლო, ავაცილო იტალიას ტყვეების¹⁵ მე-
ფობა? თუნდაც ბედისწერა მიშლიდეს? ვერ შეძლო
პალასმა, გადაებუჯა არგოსელთა ფლოტი [40] და
თავად ისინი დაებრჩო ზღვაში, ერთი კაცის, აიას
ოილევის ძის, დანაშაულისა და უგუნურების გა-
მო“¹⁶ თავად ესროლა ღრუბლებიდან იუპიტერის
სწრაფი ცეცხლი¹⁷, მიმოფანტა ბოძალდები და ქა-
რებით აღბრა ტალღები, დაჭრილ აიასს შეკრიდნ
ცეცხლი ამოასუნთქა, გრივალთ შეიპყრო და საღ
კლდეს მიჯაჭვა; ხოლო მე, დემეტრების დედოფა-

ლი, იუპიტერის დაც და მუფლევ, ერთ ხალხთან
ომში ვარ ამდენი წელია! ვინდა სცემს პატივს ომს
სიდიადეს ამის შემდეგ, ან რომელი მავედრებელ
მიავებს პატივს მის საკურთხეველს?

[50] გულანთებული ასეთ რამეებს ეუბნებოდ
საკუთარ თავს, როცა წვიმის ღრუბლების სამშო-
ლოში, სამშრეთის მძვინვარე ქარებით ფეხმძინე ად-
გილას, ეოლიაში ჩავიდა. იქ მეფე ეოლუსი ვრცელ
გამოქცაბულში თავისი ძალაუფლებით ხმაურთან ქ-
რებსა და გრივალებს ჯაჭვითა და ციხით აოკებს¹⁸
ქარები შრისხანებენ და დიდი წურჩულით ირგვლე
ხმაურობენ წთია ფერდობები; მაღალ სიმაგრეში ზო-
ეოლუსი, უპყრია კვერთხი, არბილებს სულებს და
აეზრობს რისხვას. ამას რომ არ შერებოდეს, ზღვას
მინასა და ღრმა ზეცას წაღუკავდნენ და პაერში გო-
აქრობდნენ ქარები. [60] სწორედ ამის შიშით ყოფ-
ლისშემძლე მამამ¹⁹ გადამალა ისინი ბნელ ქვაბუ-
ლებში, კლდე და მაღალი მთები დაადგა შემოდს.

14. სტრ. 35. სპილენძით ააქაფეს... - გემის ქვინტი ანუ ცვირი (წინა წაწილი) სპილენძით იყო შემოჭდილი.

15. სტრ. 38. ტყვეები - ტროიელების ერთ-ერთი დასახელება, ტროის პირველი მეფის, ტყვეროსის, ასეულის მიადე-
ვით. ტყვეროსის ასული გახდა დარდანოსის მეუღლე; მათი შთამომავალი იყო ტროის, რომელმაც ტროას მისცა
სახელი.

16. სტრ. 39-41. ...აიას ოილევის ძის, დანაშაულისა და უგუნურების გამო - ბერძენმა გმირმა აიას ოილევის ძემ (მძო-
რე აიასმა), ლოკრების მეფემ, მეურაცხაყთ კახანდრა, პრიამოსის ასული, მინერვას (ათენა პალასის) ტაძარში თავ-
დად ქალღმერთის თვალწინ.

17. სტრ. 42. ...სწრაფი ცეცხლი - იუპიტერის ელვა.

18. სტრ. 55. ...დაჭვითა და ციხით აოკებს - ეოლია ერთ-ერთია ლიპარის კუნძულებიდან; იგი სიცილიის ჩრდილო-აღ-
მოსავლეთით მდებარეობს. ეოლუსი - ქარების ღმერთი; ქარები ტიტანების შთამომავალი დეათაებები არიან,
ოლიმპოსელები მათ მტრობენ.

19. სტრ. 60. ყოელისშემძლე მამა - იუპიტერი.



მეფე დაუსვა, რომელსაც მყარი ხელშეკრულებით დაუდგინა, როდის უნდა შეეცავენებინა ან გზრძანებინა და გამოეშვა წვიმა. სწორედ მას მიმართა იუნომ ედრებით ასეთი სიტყვებით:

„ეოლუს, შენ ღმერთების მამა და ადამიანთა მეფე მოგანიჭა ძალა, დაატყვევო ტალღები ან აღ-
ნა ისინი ქარით; ჩემთვის საძულველი მოდგმა მი-
უვრავს ტირენის ზღვამდე, იტალიაში ჩააქვს ილი-
ონი²⁰ და დამარცხებული პენატები. დაღვნი ქარის
ქალი და მოუსხე გემებს კიოიონი [70] ან დაუსხლე
კელები და ზღვაში მომოფანტე მათი გვაშები. ბრწყინ-
ვალე აღნაგობის თითხმეტი ნიჭა მყავს, რომელ-
თაგან უმშვენიერესია დეიოპა, ზრდევნი საქონს-
ილი კავშირით შეგაერთოთ სამუდამოდ და იგი ლა-
მპი შეიღებოს ნამად გაქცევს.“

მას უპასუხა ეოლუსმა: „დეიოფალო, შენი
ნებაა, იცოდა, რა გასურს, ჩემი მოვალეობაა შენი
ბრძანების ასრულება. შენ მომანიჭე მე ეს სამეფო,
ყა კეერთი და იუპიტერის წყალობა, შენ დამრთე
ნება, რომ ღმერთების დღესასწაულებზე ვიწვე, [80]
რაცა მატყლი წვიმის ღრუბლებისა და ქარიშხლის
ბრძანებლად.“

ეს თქვა და შუბისტარი ცარიელ მთას გვერ-
დიდან დააბრტყა და ქარებს გასასვლელი მიეცათ და
თითქმის საბრძოლო წყობით გამოიქნენ და მინაა
გრიგალად დაატყდნენ თავს; დაატყდნენ ზღვას და
მთლიანად, სიღრმეებამდე ააფორიაქეს იგი; ეერუს-
მა²², ნოტუსმა²³ და სმირქარიშხლიანმა აფრიკუსმა²⁴
ერთად მოახეთქეს ნაპირს უზარმაზარი ტალღები.

ერთმანეთის მიყოლებით გაიხსნა ზღვის ყეირი-
ლი და ბაგერების ნივლი. უცრად ღრუბლებმა ტე-
ტრებს თვლებიდან მისტაცეს ზეცა და დღის სი-
ნათლე; ზღვაზე ბნელი ღამე ჩამოწვა. ცის თაღმა
დაიქუხა, ცეცხლმა გაიფლავა ეთერში და ეს ყველა-
ფერი ტროლეებს უტყუარა სიკვდილით დაემუქრა.

ინახანაშ მიშის სიცივე გაუჯდა ენებას სხეულ-
ნი, ამოთხრა, ორივე ხელი ვარსკვლავებისკენ გა-
წვირა და მთელი ხმით შესძახა: „ო, სამეზის,
თხუზის უფრო ბედნიერი, ვინც ძამების თვალნი
ტროის მალად გალავანთან ბრძოლაში დაეცა! ო,
ტიდეუსის ძეო²⁵, დანახელა შორის უმძლავრესო არ

მეიძლებოდა, ილიონის ველზე დაცემულიყნ²⁶ მშენ²⁷ ლი
ნი მარჯვენიო ამოხდომოდა სული, სად²⁸ მშენ²⁹ მშენ³⁰
ვარე შექტორი წევს აიაკიდის შუბით განგმირული³¹,
სადაც უზარმაზარი [100] სარმედონი³², სადაც სი-
მოიისის³³ ტალღებს ამდენი ფარი, მუზარადი და ვე-
კაცის ცხედარი მიაქვს?“

ეს რომ ამოიძახა, ავეილონმა³⁴ ქარიშხალი დაა-
ტეხა იალქნს, ზოლო ტალღები ვარსკვლავებამდე
ასნია. დაიშხვრა ნირბები; მაშინ გემმა ცხვირი შე-
მოაბრუნა, ტალღებს მოუშვარა გვერდი; აზერთე-
ბული წყლის მთელი მთა დაასცა ხომალდს. აქ გე-
მები ტალღის თავს ჩამოეკიდა, იქ ტალღამ ძირი და-
ალო და ზირთებს შორის მინა გამოიწა, მძვინეა-
რებად ქვიშის დინება. ნოტუსმა სამი ხომალდი ფა-
რული კლდეებისკენ მიმართა - ზღვის ტალღებში
მოქცეულ ამ კლდეებს იტალიელები საკუთრივ
ლებს უწოდებენ³⁵, [110] - უზარმაზარი ქედა ზღვის
ზედაპირზე; სამი გემი ეგრესმა სიღრმეში მტყუესა
და რიფებს მიაღწია (სადოდაცა საწახავია!) და შე-
მოდან ქეშა დააყარა. ერთ გემს, რომელსაც ლიკი-
ელები³⁶ და ერთგული ორონტესი მიჰყავდა, მის
თვალნი უზარმაზარი მორევით ზღვა კიოიზე და-
აცხრა და იხანაშს თავით გადაუშვა მესამე ზღვა-
ში; იქვე ერთ-ერთი ხომალდი სამეზის დაატრიალა
ტალღად და მორევის ძაბრმა სწრაფად მთანტა იგი.
ზღვის ერცელ უფსკრულში აქა-იქ მოცურავები
წნდებოდნენ, ხალხის იარაღი, ფიცრები და ტროის
საგანძური მიჰქონდა ტალღებს.

[120] ილიონეისა³⁷ მტკიცე ხომალდი, შემდეგ
მძლავრი აქატეისა, ზოლოს აბასისა და ბერიკაცი
ალექტისა, დაამარცხა ზამთრის ავდარმა; ყველა
ტალღებს მომანა, მტრულმა წყალმა შეაღწია გა-
ჩენილ ნაპრალეში.

ამასობაში ნეტუნუსმა აცდმო, რომ დიდი ხმა-
ურით იყო აღძრული ზღვა, იგდარი იყო მოვლენილი
და სიღრმეში შეუთქვამდა ძლიერ აღძრული წყალი;
ამოიხედა, ტალღებს ზემოთ ამოყო მშვიდობიანი თა-
ვი. დინახა, რომ ენებას ფლოტი მთელ ოკეანეში
იყო მომრავანებული, ტალღებისგან მვეწროსული
და ზეცისგან დამსხვრეული; [130] არ დაეშალა მძის
იუნოს ცვირება და მრისხანება. ეერუსსა და ზეული-

20. სტრ. 67. ტირენის ზღვა - ხმელთაშუა ზღვის ნაწილი, რომელიც განლაგებულია იტალიის დასავლეთ სანაპიროს, ლიგურიასა და სიცილიას შორის.
21. სტრ. 68. ილიონი - ტროა. ...ჩააქვს ილიონი - ჩაჰყავს ტროელები.
22. სტრ. 85. ეერუსი - აღმოსავლეთის ქარი.
23. სტრ. 85. ნოტუსი - სამხრეთის ქარი.
24. სტრ. 86. აფრიკუსი - სამხრეთ-დასავლეთის ქარი.
25. სტრ. 96. ტიდეუსის ძე - დიომედი, ტიდეუსა ძე, არგოსის მეფე. ენებას მისი ზღვისგან სიკვდილს დედამ, ეერუს-
მა გადააწრინა.
26. სტრ. 99. ... შექტორი წევს აიაკიდის შუბით განგმირული - ჰექტორი მოკლა აქილეესმა, აიაკოსის შვილიშვილმა
(აიაკიდმა).
27. სტრ. 100. სარმედონი - ლიკილების წინამძღოლი, ტროელთა მოკავშირე; მოკლა პატროკლუსმა, აქილეუსის მე-
კობარმა.
28. სტრ. 100. სიმოვისი - ტროადის მდინარე, სათავეს იღებს იდის მთიდან.
29. სტრ. 102. ავეილონი - ჩრდილოეთის ქარი.
30. სტრ. 109. ...საკურთხეველებს უწოდებენ - იგულისხმება კართაგენის მოპირდაპირე კლდეები ეუნძელები.
31. სტრ. 113. ლიკიელები — ლიკიის, ტროის მოკავშირე მხარის მცხოვრებლები ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში.
32. სტრ. 120-121. ილიონეისა, აბასი - პომეროსისეული სახელებია, მაგარი ვერგილიუსის პერსონაჟები არიან, რად-
გან „ილიადაში“ ისინი უკვე დაიღუპნენ (XIV, 489 და XV, 146).

რუსის მოუხმო და შემდეგ ასეთი რამ უთხრა:

„საკუთარი მოდგმის ამოდენა რწმენა გაქვთ? ჩემი თანხმობის გარეშე, ქარები, ცა და მიწა აღვიძრავთ და ამოდენა ტალღების გამოწვევა გაგიბედავთ? მოგვლით! მაგრამ ჯერ ადრეოდ ტალღებს დაეცხრობ. ამის შემდეგ სხვანაირი სასჯელით დაისჯებით. გაქრით აქედან და თქვენს მეფეს ეს უთხარით: მისთვის არავის მუცე ზღვაზე მბრძანებლობის უფლება და მძინვარე სამკბილა, ეს ყველაფერი მე მარგუნა ბედმა. მისი მხოლოდ დიდი კლდე და [140] თქვენი სახლებია, ეგრეს; იქ ბრძანებულებას სასახლეში ეოლუსი და იმეფოს ქარების დახურულ ციხეზე.“

ასე ბრძანა და ნაქვეამზე სწრაფად დააცხრო მღელვარე ზღვა, ერთად თავმოყრილი ღრულები გაყრა და მზე დააბრუნა. იმავნამს კიბოთოვმ და ტრიტონმა³³ კლდის მწვერვლიდან ჩამოუვსეს გემები; ღმერთმა ასწია სამკბილა, ვრცელი მწეჩვი გამოაჩინა, ზღვა დააწყნარა, თავად კი მსუბუქი ბორბლებით გასრილდა ტალღების თავზე.

ასე მრავალრიცხოვან ხალხში სწორად აღიძვრება აჯანყება³⁴ და სულთი მძინვარეებს უბირი ბრძოლა [150] და უკვე მიქრია ჩირადნდები და ქვები - მრისხანება იარაღს იძლევა; მაგრამ, როგორც კი დაინახევენ სათნოებთ შემოსილ და ღირსებით ძლიერ გაყკაცს, ღუმდებიან და დადებიან დაცქეტილი ყურებით; იგი ნათქვამით მართავს სულებს და გულებს უწყნარებს, - ასე მთელ ზღვაზე ჩაეხრა ხმაური, მშობელმა დახედა, ცა გახსნა, მოაბრუნა ცხენები, გაფრინდა და სადავები მოორილ ტუსას მიანდო.

ენეასის დაქანცულმა თანამგზავრებმა თავისი გზა უახლოესი ნაპირისაკენ მიმართეს და ლიბიის მხარეს მიბრუნდნენ. არს ცალკე განმარტებული ადგილი, აქ კუნძულმა ბუნებრივი ნავსაყუდელი [160] შექმნა, რადგან სანაპიროს გადაეფარა; მასზე იმხარევა მაღალი ზღვიდან მოსული ტალღები და მცირე ღელავი რჩება. მარჯვნივ და მარცხნივ ორი ვრცელი კლდეა, ორივეს ცისთვის აქვს მწვერვალი მუქართი მიბჯენილი, მათი ციცაბოს ქვეშ ზღვა სრულიად წყნარია; იქ, მოცხცხვე ფოთლებში, ჩამალულია ბნელი ქალა საშობი ჩრდილი. დაკოდული კლდეების მოპირდაპირე მხარეს გამოქვაბულია, მასში მტკნარი წყალია და კლდის საფარძლები, ნიშნების საცანი. აქ ბავიერების დამაგრების გარეშე დგას ხო-

მალდები, მოხრილ ღუზას არც შეიძლება, რომ ფსკერს ჩაებლაუფოს. [170] მთელ ფლოტისაგან დარჩენილ შვიდ ხომალდს მოუყარა თავი და აქ შეიყვანა ენესა; მინს დიდი სიყვარულით ჩამოიღწენ ხომალდიდან ტროლები, გაიხარეს სანუკვარ ქეშით და ზღვის წყლით დასველებული ფეხები წაპირს დაადგეს. აქატესმა კაყიტი ნაპირკალი გააჩინა და ცეცხლს მოუკიდა ფოთლებს, შემდეგ ირველი შემოუნყო მშრალი ფიჩი, შემა შეუკეთა და კოცონი გააჩაღა. შემდეგ ტალღებით დასველებული ხორხალი და კერესიულის იარაღი³⁵ გამოიტანეს განსავდელით დაქანცულებმა, მარცხალი გამოარჩიეს, ცეცხლზე მოხალეს და ქვებს შორის დაფევეს.

ამასობაზე ენეასი მწვერვალზე ავიდა და, რაც შეიძლება მირს, მოავლო ზღვას თვალი, რომ დაეხსნა ქარისგან დევნილი ანთესი და ფრიგული ბრემისებ³⁶ ან კაპრი ან კიკუსის იარაღი შემოდებული კიჩოზე³⁷. გემები ვერ დაინახა, მაგრამ თვალი მოჰყარა სამ ირვამ, რომლებიც სანაპიროზე მიდოვნენ, მათ უკან მიჰყვებოდა მთელი ჯოგი; გრძელი რკივ ხეობის გავლით საბოვარზე მიემართებოდა. გაირიხა იქ, ხელი ჩავივო მწიფილმა და სწრაფ ისრებს, - იარაღი მას ერთგულმა აქატესმა მოუტანა; ჯერ თავად მეთაურები დახოცა, მაღალი რომ ეწერათ დატოვებული რქებით შებურული თავები [190] შემდეგ დაერია მთელ ირვების ჯოგს, რომელიც ზეფოთილი ტყეში დაიფანტა. მანამდე არ მოეშვა, სანამ განაგრჯებულმა შეიღო უზარმაზარი სხეული დასაცა მიწაზე და ირვების რიხები ხომალდებში რიცხეს არ გაუთანაბრა.

აქედან ნავსადგურს მიადგა და ნანადირევი ყელთანამგზავრს გაუწანალა. დეიონ, რომელიც კეთილმოძღვრება აცესტესმა³⁸ არქუა მიამალა მირებს და ქვევრები გაუყვია ტრინაკრიოს³⁹ ნაპირზე, ყველას ჩამოუსხა ენესა და სიტყვით მოუღებო დახუტებული გულები:

„მგობრებო, არც ადრე გავკლდა უბედურება ამაზე უარესიც გადაგიტანიათ; ღმერთი მოგახსნენ ამ გასაჭირის დასასრულსაც. [200] გამოვლილი გაქვს სკილას მძინვარეობაც და მათ შორის მოღრული კლდეებიც, გამოცდილი გაქვთ კიკლოფის კლდე ბი⁴⁰; ახლაც მოუხმეთ სიმამაცეს, დაძლიეთ სეფი ნი შიში: შესაძლოა, ეს განსაცდელიც ოდესმე ტუბილად გავიხსენით. მრავალი თავგადასავლის გავ-

33. სტრ. 144. კიბოთოვ და ტრიტონი - ზღვის ღმერთები.

34. სტრ. 149. ... ხალხში აღიძვრება აჯანყება - ეგრეილიუსი ჰომეროსულ შედარებას მიმართავს, ოღონდ მის წყურვს აიღილს უნაცვლებს: კლიადაში³³ (II, 144-146) აშოპიებული ხალხი მფარველები მღელვარე ზღვასთან. ამ კომპოზიციის ეგრეილუსის სულიერიად ენათესავება კალაქტიონი: „ტყე ტაძარივით იყო მაღალი.“

35. სტრ. 177. ... კერესიულის იარაღი - საკვების განაწილების ინსტრუმენტები. კერესი, ნაყოფიერების ქალღმერთი, სახელი აქ ნახშირია თავად საკვების - პურის, ფქვილის, მარცვლეულის - მნიშვნელობით.

36. სტრ. 182. ფრიგული ბრემისები - ხალხები ნიშნების ორი რიგით. ფრიგია - მცირე აზიის მხარე, რომელშიც ზედიერა ტროადა; ამიტომაც ეგრეილიუსთან ტროელები ხშირად ფრიგიად მოიხსენიება.

37. სტრ. 183. ... კიკუსის იარაღი ემწიფებულ კიჩოზე - კიჩოზე მიმავრებული იარაღი იოვლებიდან ხომალდის გამო მარცვლად წიხნად.

38. სტრ. 195. აცესტესი - მდინარის ღმერთის, კრიმისისა და ტროელი ქალის, სეფესტას ეთი; მან სიცილიაში დააარსა ქალაქი სეფესტა.

39. სტრ. 196. ტრინაკრია - სიცილიის ძველი დასახელება.

40. სტრ. 201. კიკლოფის კლდეები - სიცილიის ნაპირი, რომელზეც, ლეგენდის მიხედვით, კიკლოპები, ცალთვალა გოლიათები ხიზოვობდნენ და ოუბიტიკის ელვას გამოჰედნენ.

ლით, ამდენი განსხვავებული ამბის შემდეგ მივეს-
წარავით ლატიუმს; იქ ნედისწერა გვიმზადებს წყნარ
საზოგადოებრივ; ნაბრძანებია, რომ იქ აღდგება ტრიოს
სამეფო. ვამარტადი და თავი შეინახეთ ბედნიერი
პრინციპისთვის."

ეს სიტყვები კი უფრო მეტობრებს, მაგრამ მა-
რცე დიდი საზრუნავი აწუხებდა, სახეზე იმდენი იმა-
რება, გულით კი ღრმა ტკივილს იოქმენდა. [210]
გროვლებმა ნადგომისთვის და მომავალი ნადიმის-
თვის ეპირები შემოირტყეს; ფერდებიდან გაატყა-
ვს და ხორცი გაუშვილეს; ნაწილი ნაჭრებად დაჭ-
რეს და მოცახცახე ხორცი ხის შამფურებზე ნაშო-
ყვეს; სხვებმა ნაპირზე საზოგადოების ქვაბები გამოი-
ტანეს და ცხელი გააჩაღეს. შემდეგ საკვებით და-
ბრუნეს ძალა, ბალახზე ნაპრინენ, დანაყრდენი
ქვილი ღვინითა და ხიბიანი ნადავლიერეთი.

როდესაც შიმშილი დაღლიეს და მაგიდები მოი-
შორეს, დაკარგულ მეგობრებზე ნაშთიყვას გრძელ-
საუბარი, ორხეოდენი იმედისა და შიშის შორის, ხან
ცოცხლებად მიიჩნევდნენ, ხან უკანასკნელ დღეში
წავარდნილებად; ეხადნენ და პასუხი არ ესმოდათ.
[220] ღვინისმოსავი ენეასი ახლა განსაკუთრებით დარ-
დობდა გამჭირავს ორონისსაზე, აბიუსსაზე და დასტი-
რდა ლიკუასის სასტიკ ბედს, ეაქვაც გიასისა და მა-
ჩე კლიანოსისა.

როდესაც ნადიში დასრულდა, იუპიტერმა მალა-
დი ეთეროდან გადმოხვდა იალქნებით მოფენილ
ზღვას; გაჭიჟულ მინას, ნაპირებსა და ვრცელ ქვე-
ნებს, ზეცის მწვერვალზე დადგა და ლიბისის სამე-
ფოს მიაპყრო მზერა. მაშინ მას, აფეკარი საზრუნა-
ვით გართულს, მწუხარ და უღვარე თვალებზე ცრემ-
ლმოდგარმა ვერუსმა მიმართა: "შენ, რომელიც ადა-
მანთან და ღმერთთან საქმეებს [230] განაგებს პრა-
დოლი ძალმოხილვებით და ქვეით აპირებს, ასეთი რა
დაგიმთავა ჩემმა ენეასმა, რა დაგიმთავეს ტროელებმა,
წოდებდის თვისაზე, ამდენი უმეტესობის გადატანის
წინადაცხადებით მხოლოდ მსოფლიო დასურულია იტალიის
მთების გარდა? შენ მყარად დადგარიდი, რომ ოდეს-
მე რომელიღაც, ტეკეროსის სისხლიდან წარმოშო-
ბლი, წლების შემდეგ, გახდებოდა მეთაურები, ზღა-
და ხმელეთს სრულად დაეპატრონებინა, რამ შე-
კცვიდა აზრი, მამაჩემო? როდესაც ტრიოს დაცე-
მისა და საჯალალო ნანგრევებს ვეხედავდი, თავს ვი-

ნუგეშებდი, რომ სხვა ბედი გადამწინდებოდა და
[240] მაგრამ იგივე ბედი ამდენი ტორტარამახალ-
ხალხს ისევე მისდევს, რა დასასრულს მისცემ, დიდო
მეფეო, მათს ტანჯვას? ანტენორმა? შეძლო, ხელი-
დან დაუდგრა აქველებს, გადამჩა და შეაღწია ილი-
რიის უბეში, ლიბურნიის შიდა სამეფოში¹, გადალა-
ხა ტიბაუსის წყარო², საიდანაც მთის ცხრა პირი-
დან ჩხრიალით მიედინება მრავალსმინაი ზღვის
მსგავსად ველზე³ და ჩაედინება მქონეწარე ზღვა-
ში. მაშინ იქ დააარსა ქალაქი პატავიუმი ტეკერების
სამეკიდროდ, ხალხს სახელი მისცა, ტროელი იარა-
ღი ჩამოჰკიდა და ახლა წყნარი ცხოვრებით ცხოვ-
რობს მშვიდობაში. [250] ჩვენ კი, შენს მოდგმას, ზე-
ციურ სამეკიდროს გვეპირდებოდა, ახლა კი ვეშები
ნაგვართი, (როგორი სათქმელია!) ერთი ქალმე-
რთის მრისხანების გამო ვაგვიწირა და დაგვაშორე
იტალიის ნაპირებს. ესაა ღვთისმოსაობისთვის პა-
ტივი? ასე აღადგენ ჩვენს მზრანებლობას?"

მას გაუღიმა ადამიანთა და ღმერთთა მამამ, რო-
მელიც იოლად აწყნარებდა ზეცასა და გრეგოსს, ამ-
ბორით შეეხო ასულს და ასეთი სიტყვები ბრძანა:

"ნუ გეშინია, კითერა⁴, შენების ბედი ხელუხ-
ლებელია დარჩება; დაიხანებ ქალაქსა და ლაინი-
უმის დაპირებულ გალავანს, ცაში ვარსკვლავებამ-
დე აიყვან [260] დიდსულოვან ენეასს; ჩემი აზრი არ
შეცვლილა. რაკი ვხედავ, რომ ეს საზრუნავი გულს
გაქლავს, ახლავ უფრო ვრცელად და გასაცხადებ გა-
დაგიშლი ბედისწერის საიდუმლოს: დიდ ომს შეი-
ტანს იტალიაში, მრავალ მამაც ტომს დაამარცხებს,
კაცთათვის ჩვეულებებს დაანებს; და გაიკლავს
აფეკას, სანამ ლატრუმზე მზრანებლობის მესამე
წელი არ დადგება - სამი ზამთარი გაივლის და რუ-
ტული⁵ დაოკლებიან; შემდეგ მისი ვაჟი, ასკანიო-
სი⁶, რომელსაც იოლუსი დაერქმევა, რადგან იოლ-
სი იყო, სანამ ილიონის სამეფო ფეხზე იდგა, ამ მზარ-
თელობას დაასრულებს, როცა ოცდაათჯერ მობ-
რუნდება თეგებთი მინა, [270] სამეფოს გადაიტანს
ლავინიუმის სავანეში და სამძლავროთი აღაწევებს
ახლა ლონგას. შემდეგ აქ სამას წელს იმეფებს პე-
ტორის მოდგმა, სანამ მარსისგან დაორსულებული
დედოფალი და ქურუმი ქალი ილია ტყუპებს არ
შობს⁷. შემდეგ აღმზრდელი მგლის მოყვითალო ტყა-
ვით ამავს⁸ რომულუსი ჩაიბარებს მოდგმას და მარ-

1. სტრ. 242. ანტენორი - ტრიოს მეფის, პრინციპის, ნათესავი; ილიონის დაცემის შემდეგ ადრიატიკის ზღვილი-და-
სავლით სანაპიროს მიაღწა და იქ ქალაქი პატავიუმი (დღევანდელი პადუა) დააარსა.

2. სტრ. 244. ...ილირიის უბეში, ლიბურნიის შიდა სამეფოში - ლიბურნია, ილირია, მხარე ადრიატიკის სანაპიროს
ჩრდილოეთ სანაპიროზე, დღევანდელი ალბანია.

3. სტრ. 244. ტიბაუსის წყარო - იგივეა, რაც ტიბა, რინდინი ტრიესტის პროვინციაში.

4. სტრ. 257. კითერა - ვენუსის მეტსახელი, კუნძულ კითერის სახელის მიხედვით, სადაც იგი ზღვის ქაივიდან დაბა-
დებული ამოვიდა.

5. სტრ. 268. რუტულიები - ლატრუმში მცხოვრები ლეგენდარული იტალიკური ტომი. მათი დედაქალაქი იყო არდია,
რომელიც რომიდან 35 კილომეტრში მდებარეობდა. ტომის სახელი მომდინარეობს ქ. ატალიკური Rutilius-დან,
"წითლები" (იგულისხმება ქერათმიანები).

6. სტრ. 267. ასკანიუსი - ენეასისა და კრეუსის ვაჟი; მისი მეორე სახელი იყო იოლუსი. გადმოცემის მიხედვით, ის იყო
მამამთავარი იოლუსების ვაჟისა, რომელსაც მიკუთვნებოდა იოლუსი კეისარი და ოქტავიანუსი ავგუსტუსი.

7. სტრ. 273-274. ...სანამ მარსისგან დაორსულებული დედოფალი და ქურუმი ქალი ილია ტყუპებს არ შობს - დევენი-
ლის მიხედვით, ილიამ (რეა ლიდა), ალბა ლორეს შევიწ ნუმითობის სახელმა, ქალმწიფი ეცატას ქურუმმა,
ღმერთ მარსისგან შვიკ რომის დამფუძნებელი, რომულუსი და რემუსი.

8. სტრ. 275. აღმზრდელი მგლის მოყვითალო ტყავით ამავს - ლეგენდის მიხედვით, რომულუსი და რემუსი კი ნეკლე-
მა აღზარდნენ.

სის გალავანს⁴⁹ დააარსებს, ხოლო რომაელებს თავის სახელს დაარქმევს. მათ მე საზღუდესს არ დავუდგენ არც საქმეებსა და არც დროს; უსასრულო ძალმოსილებას მივანიჭებ. თავად ჯიუტი იუნოც, [280] რომელიც ახლა ზღვასა და ხმელეთზე ძაბით დღის ზევას, უკუეთვსად გახეცნობა და ჩნებთან ერთად მონიონებს რომაელთა საქმეებს და ტოვით⁵⁰ შემოსილ მმარბანებელთა მოდგმას. ასე მწყაბავს მე. ნლები გაირბნეს და დადგება დრო, როდესაც ასპარაქუსის სახლი ფთიასა და სახელოვან მიკენს დაიმონებს და დამარცხებულ არგოსელებზე გაბატონდება⁵¹. დაიბადება ბრწყინვალე მოდგმის ტროელი კისარი, რომელიც იმპერიას ოცენებმდე, დიდებას კი ვარსკვლავებამდე მიანდევს, - იულიუსი; დიდი იულიუსისგან აიღებს სახელს. იცოდენ, მას ერთხელაც ზეცაზე, აღმოსავლური ნადავლით დამძიმებულს⁵² [290] მიიღებ და მისზე ილოცებენ. შემდეგ მძიმე დროება დარბილდება და ომების ხანა დასრულდება; ქალარა ფიდესი და ეესტა⁵³, მმა რემუსთან და კვირინუსთან ერთად კანონებს გამოსცენ; ომის წყეული კარიბჭე⁵⁴ რკინითა და მჭიდრო საკეტით ჩაიარაზება; უღირსი მძევზარება შიგნით დააფდება ველურ იარაღს, ბრინჯაოს ასი კვანძით შეკრული სისხლიანი პირით დაიწყებს ბრუნვას.

ეს თქვა და მაიას ვაჟი⁵⁵ ზეციდან მიწას აფრინა, რომ კართაგენის ქვეყანასა და ახალ ცირენიზმარეს სამასწინწოდ გაეღო კარი ტევერენტისთვის, რომ ბედისწერის არმოდზე დიდოს [300] სტუმრებისთვის საზღვრები არ ჩაეკეტა. მერკუროუსი მიფრინავს ფრთების ქნევით და მალე მოადგება ლიბის ნაპირს. იქ ბრძანებას შეასრულებს, უფლის ნება დააცხრობს პუნების სიშმაგეს, უზირველესად დედოფალი დამეზიდდება და ტყვერებს მშვიდი სულითა და წყნარი გონებით მიიღებს.

ლუთისმახე ნენასა ღამის განმავლობაში ზვერი იფურა და, როგორც კი პირველი სხივი გამოჩნდა, გადაწყვიტა, გასულიყო და ახალი ადგილები შეესაძლოა, რომ გაეყო, თუ რომელი ნაპირს მიაყენა ქარმა, ვინ ცხოვრობს აქ, რა ხალხია, რა ცხოველებია აქ, სადაც ასე დაუსუშავებელია ყველაფერი, რა-

თა თანამგზავრებისთვის ამბავი⁵⁶ მუხტანდებდა [310] ზომადლები დამალა ბუნებრივი თალის ქვეშ, კლდოვან ქვაბულში, ხეების შიშისმომგერელ ჩრდილში; მარტო ნავიდა, მხოლოდ აეტყესი იახლა, ხელს დაიჭირა რკინისბუნიაანი ორი შუბი. დედა მიველრნა მას შუა ტყეში, გალანულის სახე მიიღო, სპარტელი ქალწულის ან ცხენების დამღლელი თრავილი პარალიკისს⁵⁷ იარაღი აესხა, თითქმის ფრთოსან პერანუს მისდევდა დასაწევად. მონადირე ქალს მხრებზე მოხდენილად გადაეკიდა მსუბუქი მჭილდი, კულდები მიეხნო ეარისთვის გასაშლელად [320] მუხტამდე მიშველს ქაშრით შეეკრა მოძებვლი კება.

პირველმა მან ამოიღო ხმა: „შეი, ყმაწვილებო, შემოხვევით თველი ზომ არ მოგერკავთ ჩემი რომელიმე დისთვის, რომლებიც დაღიან კაბარჭმისბუნო, კობლებიანი ფოცხეერის ტყავით და ყაიხით კუდში მისდევენ ავაფებულ ტახსა“

ეს იკითხა ვენუსმა; მას კი უპასუხა ვენუსის ქმე და ასე დაიწყო: „არც გამიგონია და არც მინახავს შენი და, როგორ უნდა დავიძახო, ქალწულო? რაგან არ გავქს მოვედავის სახე არც შენი ხმა ღელრადიმინის ხმასავით: ამკარად ქალღმერთი ხარ, ფეზუსის და ზომ არ? ნიმფების სისხლისა ხომ არ ხარ? [330] ბედნური აყავ, ვინც უნდა იყო, ჩვენ კი შევემსუბუქე საქმე, სად ვართ, რომელი ცის ქვეშ, რა მინასა და ნაპირზე ვართ, გაგვაგებინე. არ ვიცნობ არც ზალხს, არც ადგილს, დავხტიალობთ, სადაც მოგვეყვანა ქარმა და დივნება; გაგვაგებინე და მესსაკურთხეველს უამრავ მსხვერპლს მეგნირავთ საკუთარი ხელით.“

ბრძანა ვენუსამ: „სინამდვილეში თავი ამოდენა პატეის ღირსად არ მიმაჩნია; ტიროსელ ქალწულს ზღეს ჩვევად აქვთ კაპარქის ტარება და მალად ფეზებს მენამული კოთორნებით სიარული. პუნებას სამეფოს ზედაც, ტიროსელებსა და აგნოროის⁵⁸ ქალცხებს; მანამდე ლიბიელებსა იყო, ომში დაუშვარცხბელი მოდგმის. [340] სამეფოს მართავს დიდ ტიროსის ქალაქიდან თავდალენული და მძას გამოქცეული. დიდი იყო უსამართლობა და მითქმა-მოთ-

49. სტრ. 277. მარსის გალავანი - რომის კედელს „მარსის გალავანი“ ეწოდება, რადგან იგი მარსის იმე, რომულუსმა აღმართა.

50. სტრ. 282. ტოვა - რომაელის განმასხვავებელი ხამოსი; ამავე დროს, ტოვის ტარება მშვიდობის ნიშანი იყო.

51. სტრ. 284-285. ასპარაქუსის სახლი ფთიასა და სახელოვან მიკენს დაიმონებს და დამარცხებულ არგოსელებზე გაბატონდება - წინასწარტევულება გაუალებს, რომ ასპარაქუსის შუალთაშვილის, ენისის, სახლი, რომელიც რომაულ მოდგმად იქცევა, დაუფლება ბერძენი გმირების, აქილეისის (ფთია), აგამემნონისა (მიკენი) და დიომედესის (არგოსი) სამშობლოა.

52. სტრ. 289. ...აღმოსავლური ნადავლით დამძიმებული - მინიზნება ტევიპტისა დაპყრობასა და პართიის მეფე ფრაატთან შეტაკებაზე.

53. სტრ. 292. ფიდესი და ეესტა - ძველი რომაული ღვთაებები, რომნი იდგა ერთგულების ღმერთის, ფიდესის, ტაძარი ეესტა, კერისა და ცეცხლის ძველი ღვთაება, ითვლებოდა ტროელთა მფარველად; მისი კულტი ენესამა იტალიაში გადაიტანა.

54. სტრ. 294. ...ომის წყეული კარიბჭე - რომში არსებობდა ძველი ჩვეულება, ომისთვის დროს გავლით იანუსის ტაძრის კარიბჭე, ხოლო მშვიდობის დროს დახურვით იგი. აფუტსტუსმა ეს მივიწყებული ჩვეულება აღადგინა და სახლი იმდ ჩარაბა „ომის კარიბჭე“ ძვ. წ. 30 წელს აქტიუმში გამარჯვების შემდეგ.

55. სტრ. 297. მაიას ვაჟი - მერკურუსი (ბერძნული მითოლოგიის მერკური), ოლიმპოსური ღმერთი, ზევსისა და პლეიად ქალღმერთ მაიას ძე, მფრთხეების მიერიკი.

56. სტრ. 317. პარალიკისი - თრავილი გმირი ქალი, მეომარი და მონადირე; მისი სახის ბევრი ნიშანი და მისი ისტორიის დეტალები ვერტიკალურად გამოყენდა კამილას სახისა და ისტორიის შესაქმნელად (XI სიმღერა).

57. სტრ. 338. აგნოროი - ფინიკიის მითოსური მეფე.



ქა; მე მხოლოდ საქმის არსს მივყევბი; მისი მეუღლე იყო სიტყვისი, ფინიკილთა მინაზე უმდიდრესი; საბრალის დიდი სიყვარულით უყვარდა კაცი, რომელსაც მაშამ ქალწული ჩააბარა, და პირველად გათხოვდა. ტიროსის სამეფო ეგზარა ძმას, პიგმალიონს, რომელიც დანაშაულით ყველას აღემატებოდა, სიძე-ცოლისძმას შორის მუდლი ჩამოვირდა. მან, საბავლემა, სიტყვისი საკუთრებულის წინ, ოქროს სიყვარულით დაბრმავებულმა, [350] საიღვლოდ, მუხანათურად მოკლა ხმლით, დის სიყვარული არაფრად ჩააცვო; მომხდარს დიდხანს მალავდა და საბაზლო შეყვარებულს უამრავი ცრუ ზეგმებოდა და იმედით ავსებდა; მაგრამ დაუკრძალავი მეუღლის ხატება ენჯია სიზმარში, აწევნა თავისი საოცრად გაუთრებული სახე და შებლაღუდა საკუთრებულო, რიჩით განვითარული მეგრად გაუმძიმდა და გაშაჰქარავა სახლის მთელი დანაშაული. დაარწმუნა, დაეჩქარებინა სამშობლოდან გაქცევა, გზაში დასაზმარებლად მიუთითა ძველ საგანძურზე, საიდუმლო საბაღაჰში მოთავსებულ ოქროსა და ვერცხლზე. [360] ამ ამბებით გაოგნებულმა დიდომ გაქცევა გააღწევითა და თანამგზავრით მოაშაჰნა: თავი მოიფარეს, ვისაც საძულელი ტიროსი სძულდა ან მისი მსაფრთხი შიში შკონდა; გასასვლელად გამზადებული ზომალდები შეიკურს და ოქროთი დატვირთეს; გაატანეს ზღვითი ტუნჩი პიგმალიონის სიმდიდრე; გაბლი ხელმძღვანელობით ყველაფრის ამ ადგილებში ზოივნენ, სადაც ახლა უზარმაზარ ჯალაჰანს ხედავ და სადაც აღნიშნულია ახალი კარბაგვისი ციქსიზმარე. აქ იყიდეს მიწა, სახელად ბირსა; იმდენი, რასაც დაფარავდა ერთი ხარის ტყავი⁸⁸. თქვენ ღიჯნ ხართ, რა ნაპირებიდან მოდიხართ, [370] საით გაქირავთ გზა?"

მთელი ჯულით მიძიდ ამოიხრა და კითხვის დამსმელს ასე უპასუხა ენჯიამ: „ო, ქალმერთო, რომ დამეცხო დასაწყისიდან ჩემი ამპის თირბა და გადმოემტა ყველაფერი, რაც თავს მიგვემოსება, ვესპერო⁸⁹ დასაწყრლებდა დღეს და ოლიმპოსის კარიბჭე დაიხურებოდა. ჩვენ ვართ ძველი ტიროდან, თუკი შემთხვევით სძენია ოქვენს ყურებს ტიროსის სახელი; ქარიშხალმა იწება, სხვადასხვა ზღვაზე გვატანა და ლიბიის ნაპირებთან მოგვრეკა. მე ვარ ღვთისის პოხავი ენჯია, ზეცამდე ცნობილი, მტერს გამოვექეცი და ჩემი ზომალდებით მომაქცეს საკუთარი პეზანდები. [380] იტალიაში სამშობლოს ვეცე, ჩემი მოდგმა მაღალი ოუპიტერისგან მოდის. ოცი ზომალდი გვიყვანე ფრიგიის ზღვაში, დედა ქალმერთი გზას მჩვევებდა, ჩემთვის მოცემულ ბედისწერას მიყევბოდი.

ბოდი. შვიდი ძლივს გადაურჩა ტალღებსა და ევრუსს. მე, ყველაფრის უცნობი და უტონელი, ლიბიის უდაბნოში დადივარ, ევროპიდან და აზრიდან გაქცეული."

ამდელი საჩივრის ტკივლს ვერ გაუმლო ვენუსსა და შეანწყვტინა: „ვინც უნდა იყო, მჯერა, რომ ღმერთებს არ სძულარ და ისე სუნთქვას სასაციოცლო პარეს, რაკი ტიროსელთა ქალაქში მოსულხარ. ახლა დაიძარი და წარდექი დედოფლის ზღრუბლზე⁹⁰. [390] იმასაც გეტყვი, რომ დაგიბრუნდებიან თანამგზავრები ზომალდებიანად, ჩრდილოეთის ქარი საიმედო ნავსაყუდელში შემოიყვანს, თუ მშობლებმა ფუჭად არ მოშანიჭეს წინასწარმეტყველების უნარი. შეხედე, თორმეტი ვედი მიფრინავს მწკრივად, სუფთა ზეციდან თავს დაეცა ოუპიტერის ფრინველი⁹¹ და გაფანტა ცაში; ახლა ისინი მწყობრად ან მინისკენ მიფრინავენ ან მინაზე არიან უკვე. თავი მოიყარეს ერთად და ფრთებს აფარვატებენ ხმაურით; ისეც აფრინდა მთელი ჯუნდი და ტყავში აიჭრა სიმღერით, სწორედ მსგავსი ვენი გემები და შენი გაქვაციები [400] ან უკვე ნავსადგურში არიან ან გაშლილი იალქნებით მას უაზლოვდებიან. პირდაპირ იარე, რომელ გზასაც მოსწყევბი, იმას მიივდე."

ეს თქვა, მობრუნდა, გაიბრწყინა ვარდისფერი ყელით და თმამ ღვთაებრივი ამბროზიის სურნელი დაღვარა, კაბა ფეხებთან ჩამოეშალა და ნაბიჯმა ამახილა ჭმბრნობი ქალმერთი. როგორც კი დედა იცნო, გაქცეულს ეს სიტყვა მიაღებნა ენჯიამ: „უკვე მერანდნედ ატყუებ შეილს ყალბი თამაშით, დაუბნდელიო? რატომ მარჯვენას არ ჩამოხრთომე, ან ნამდვილ ხმას არ გამაჰონებ და მიპასუხებ?" [410] ასეთი სიტყვებით დასდო ზრალი და ჯალაჰანისკენ გაეშურა; ხოლო ვენუსმა შემოაღლო მიმავალ ბნელს ნილი, მჭიდრო ღრუბელი დაღვარა ირგვლივ ქალმერთმა, რომ ვერავის დაენახა ისინი, რომ ვერავინ ვერ შეხებოდა, ვერ დაეკოვნებდა და მოსვლის მიზეზი ვერ ეკითხა. თავად კი პაფოსში ნავი და საპარეო გზით, თავის საყვარელ საგანეს მიაღება, სადაც მისი ტაძარი იყო, სადაც ას საკუთრებულზე საბასეული საქმეველი⁹² ზოლავდა და ცოცხალ გვირგვინებს სურნელი ასდიოდათ. ისინი კი გზას გაუდგნენ, რომელსაც ბილიკი აწვენებდათ. მალე შეუდგნენ ბორცვს, რომელიც ქალაქს [420] ზემოდან ადგა და დაჰყოებდა მოპირდაპირე ციხესამაგრეს. შენობათა სიდიდემ გააკვირვა ენჯიას, პირვეტი ვერ ნახა; გააოცა კარიბჭეებმა, ხმაურმა და ფართო ქუჩებმა.

შრომობნე მგზნებარე ტიროსელები: ნაწილს კედ-

88. სტრ. 367-368. აქ იყიდეს მიწა, სახელად ბირსა; იმდენი, რასაც დაფარავდა ერთი ხარის ტყავი - ფინიკური Borsა (გამავრებული ადგლი) იქცა ბერძნულ Bysra-დ (ხარის ტყავად). ლეგენდის მიხედვით, ფინიკელებმა იმდენი მიწა იყიდეს, რასაც ერთი ხარის ტყავი გასსვდებოდა; ხარის ტყავი ქანრებად დაჭრეს და მოხრდილი მონაკვეთი შეიძინეს.

89. სტრ. 274. ვესპერი - საღამო.

90. სტრ. 389. ახლა დაიძარი და წარდექი დედოფლის ზღრუბლზე - ეს სტრიქონი ბევრ გამოცემაში შემდგომი დროის ჩანართად ითვლებოდა.

91. სტრ. 394. ...ზეციდან თავს დაეცა ოუპიტერის ფრინველი - არჩივი; მინერვას ფრინველი იყო ჭოტი, ხოლო ვენუსისა - მტრედი.

92. სტრ. 416-417. ...საბასეული საქმეველი - არაბული ქალაქი საბა და მთელი საბეას მხარე (თანამედროვე იემენი) სახელგანთქმული იყო თავისი სურნელოვანი ფინიკი, რომელსაც საქმეველად იყენებდნენ.

სამ წელიწადში გარდაიცვალა. ისიც ზაფხულში. მე
და ნუცამ შევმოსეთ მიცვალებული. თხელი, სა-
ზაფხულო კაბა და ღია ხანძლები ჩაეცვიტ. ცო-
ტაც, და მოსპიტალში შევალ. ორივე ხელში ტკბი-
ლეულით, სარუქრებით საგსე მარკები მიჭირავს –
ქიმებისთვის, ექთნებისთვის. დღეს ხომ ვ! დეკემ-
ბერია... უკან ვიხედები... გურო და ლილი აღარ მომ-
ყვებიან... ადგილზე ვემდები. გული ისე მიცემს,
ღამისაა ამომივარდეს. წამოდითო!.. რატომ გარე-
ჯით? ხმას არ მცემენ. დგანან გაუშმარელებად და
ათოვთ. არ ვიცი, რა გენა... მივბრუნდები და გზას
ვაგრძელებ. ისევ ეჩრდები. გტრიალები. ისევ დგა-
ნან. ოღონდ უფრო შორს არიან. ათოვთ. ქარბუქი
ლლის ზაფხულის კაბას უფრიალებს. მაყურებენ.
სიცოცხლის და მღელვარებისგან მთელი სხეული
მიკანკალებს. გზას ვაგრძელებ. ისევ ეჩრდები და
გტრიალები. აღარ დგანან... აღარსად ჩანან. თა-
ვით გადმოცვივნილ ცრემლებს პარკებიანი მუჭით
ვშორებ, გულისჯიბში იმას ვისინჯავ, რაც ნუცამ
გამომიჭანა და მოსპიტლის შენობაში შევდივარ.
ლიფტთან დაცვის თანამშრომელი მაჩერებს.

სად მიბრძანდებით?
მეოთხეზე.
რომელზე?
მეოთხეზე.
ლიფტის კარი იღება. ვიღაცები გამოდიან.
არ შეიძლება.
რატომ არ შეიძლება?
დამთავრდა უკვე პაციენტების ნახვის საათები.
გამორიცხულია რომ არ ენახო. თან, აი...
ტკბილეულით და სარუქრებით საზე მარკებს
ნის ცხვირამდე ვწევ.
ეს რა არის?..

სარუქრები და ტკბილეული გოგოებისთვის. ექი-
მებისთვის, ექთნებისთვის. დღეს ხომ ოცდათერ-
მეტი...

მომეცით და მე გადავცემ.

არა. თქვენ არ გადასცემთ. მე უნდა გადავცე-
და ამის გარდა, ისევ უნდა შევიტანო...

გულისჯიბიდან ნუცას გამოტანებულს ვიღებ,
ხელსახოცებს ვაშორებ და ვაწვენებ. დაცვის თა-
ნამშრომელი მაშინათუ უკან იხევს.

მიბრძანდით. ოღონდ დიდხანს არ გაჩერდით.

* * *

პერინატალურ განყოფილებაში გოგოებს – ექ-
თნებს და ექიმებს სულ ფერად-ფერადი წვამებით,
ქაღალდებით, სახალწლო სათამაშოებით მოურ-
თავთ კედლები, კარადები, კუგებებიც კი, სადაც
უდღესური ახალშობილები წვანან. ზოგს სძინავს,
ზოგს ექთანე ამქვეს, ზოგი ტირის, და ახალშობი-
ლის ხმა ინკუბატორიდან ყრუდ მოისმის. ზოგი კარ-
გად სუნთავს, ზოგი – ჩქარა. შრიპინებს ან ტონა-
ლურ სიგნალს გამოსცემს უამრავი აპარატი, და-
ნადგარი. ხათუნა – ჩემი პატარა ლილის ექიმი ერთ-
ერთი კუვეზისკენ მიმიძღვის, სადაც ყველაზე მეტი
აპარატი მუშაობს. ეჩრდები. შირინა, ციცქნა ახალ-
შობილს დაეყურებ. ცრემლები თავისით მცვივა.
ლიფაზეც კი არ ჩერდება – პირდაპირ იატაკზე ცვი-
ვი. თითქოს თვალებიდან ხტებიან.

ძალიან გთხოვთ, ნუ ნერვიულობთ.

არ ვნერვიულობ...

ცრემლებს კი არ ვიწმენდ, ვიგლეჯ სახიდან.

ისეთი საწერეილო აღარაფერია. დღევანდელ-
მა გამოგვლეჯამ აჩვენა, რომ გულზე ბოტალის სარ-
ეგელი დაიხურა. მარჯვენა ფილტვმა განლა დაიწყო
და მუცლის ღრუში პერიტონიტის ნიშნები ალაგდა.
გადეცით თქვენს მეუღლეს, რომ არ ინერვიულოს,
და თქვენც აღარ ინერვიულოთ ასე ძალიან.

აი, ეს გამომატანა ნუცამ...

პალტოს გულისჯიბიდან ბავშვის საჭმლის
ბოთლს ვიღებ. ბოთლში ორასიოდე გრამი რჩევი.

მეტი ვერ შემოვალ...

არა უშავს. დღეს დიდხანს შეძენა თვალები გა-
ხელილი. მერე ნეკა თითზე ხელი მომიჭირა. ისეთი
მოშველები და მისაჯათებულ აღარ არის, როგო-
რიც პირველ დღეებში იყო. ნუ გეშინიათ, ყველაფე-
რი კარგად იქნება. ახლა ცოტა ხანი დაგტოვებთ.



მერე კი, უნდა ნაბრძანდეთ, არ შეიძლება...

რომ დავრჩე, ხათუნა ექიმო?...
სად?!

დერეფანში ვიქნები, ან კიბის უჯრედში დავდგები...

რატომ? რა საჭიროა?..

იმიტომ, რომ... არ მინდა, რომ...

რა არ გინდათ?..

ხათუნა ექიმს სახეზე ღიმილი გადაურბენს.

არ მინდა, რომ ახალ წელს მარტო შეხვდეს...

არც მე და არც ნუცას!

ახლა უფრო თავდაჯერებული ვარ.

თქვენ იცით, ჩვენ აქ როგორ ვხვდებით ახალ წელს?

როგორ?..

როგორ?.. ყველანი ერთად!..

ხათუნა ექიმს თვალები უწყლიანდება. მე თვალს ვარიდებ, გვერდზე ვისევლები.

ახლა ცოტა ხანი დარჩით, შემდეგ კი ნაბრძანდით. ძალიან გთხოვთ. ოჯახში გელოდებიან.

ხათუნა შებრუნდება და მიდის. ვხედავ, როგორ იწმენდს ხელსახოცით ცრემლებს.

ლილის ვუყურებ, ვუყურებ, ვუყურებ. სიბინავს. ძალიან ციცქნაა. ერთი ბენი თითზე ულუსის და წნევის მარეგულირებელი სარჭი უკეთია. გულმკერდზე, მუცელზე, რაღაცები აქვს დაწებებული, კაბელით რომ გრძელდება და სხვადასხვა, მოწონიანი, მოციმციმე აპარატს უერთდება. პანანინა მკლავზე დრენატი აქვს ვენაში შეერთებული. ველოდები, იქნებ გამიმართლოს და თვალი გაახილოს. არ ახელს. ჩუმად პირველ ახალ წელს ვულოცავ და ვმორძებ. მორიგე ექთნებს და ექიმებს წინასწარ ვულოცავ ახალ წელს და გასასვლელისკენ მივდივარ. ყველანი მაცილებენ, საჩუქრებისთვის მადლობას მიხდით. კარში გასვლისას, ხათუნა ექიმი მრავალმნიშვნელოვნად თავს დამიქნევს, მეც იმავეით ვბასუხობ და გამოვდივარ...

გარეთ ისევ ქარბუქია. უარესად თოვს და ყინავს. ვჩერდები. ირგვლივ მიდამოს ვათვალიერებ. ლილი და გური არსად ჩანან.

„ღმერთო...“

„ნუცა, მოვდივარ! და რომ იცოდე, რამდენი რამე უნდა მოგიყვას!..“

„და რომ იცოდე, რა მომაქვს შენთვის...“

ტაქსიში ვზივარ. შინ მივდივარ. ჯიბიდან გადა-

კეცილ ხელსახოცს ვიღებ. ვხსნი. შიშის-ბინძურ ნამცეცს დავყურებ. კარში გამოსვლისას, ხათუნა ექიმმა ჩამჩურჩულა, დღეს მთელი დღე მარჯვენა ხელში ჰქონდა ლილის ჩაბღუჯული... მის ციცქნა ხელს აშკვავ საიდანაც და ეჭირათ. მერე გაუვირდაო. შევიხანხეთო. როგორ მოიფიქრა?..

ბამბის პატარა ნამცეცო...

ახალ წელს ხომ სახლში შეხვდები, ოქროვაციო?

მძლოლს მხარზე ხელს ვადებ.

არა, ჩემო ძმაო. ვერა. ტაქსოკომპანიის მანქანაზე ვზივარ და მორიგე ვარ...

მორიგე ხარ?... აი, ახლა ხომ მივალთ ჩემს სახლთან...

დიახ?..

ჰოდა, რომ მივალთ, ამოდი ჩემთან და ერთად შევხვდეთ ახალ წელს. მერე ისევ გააგრძელე შუაობა.

ვაიმე, ვაიმე! ღმერთმა ამრავლოს თქვენნიარო ხალხი! დიდი მადლობა, შენი ჭირიმე! რას ამბობი? მე სერიოზულად გუქვნები. დააყენე მანქანა და ავიდეთ ჩემთან...

ჩათვალე, რომ ამოვედი! დიდი მადლობა, ჩემო ძმაო! გაიხარე და გამრავლდი!

მანქანას ჩემს კორპუსთან აჩერებს.

ესე იგი, არ ამოხვალ?..

ვირ ამოვალ, შენი ჭირიმე, მაგრამ ჩათვალე, რომ ციყავი და დამილოცინა შენი ოჯახი, სულად და გულით!

რა გქვია, მეგობარო?

თამაზი. თაზო.

თაზო, მე იცი ახლა რა მიმაქვს სახლში?..

არ ვიცი?..

მძლოლი დაბნეული მიყურებს.

აი...

პატრონს ჯიბიდან გადაკეცილ ხელსახოცს ვიღებ.

რა არის ესა?..

მძლოლი მიაბიტურად მეკითხება.

ბამბის პატარა ნამცეცო...


მძლოლი დაბნეული მიყურებს. ოდნავ შემყრთაო. ვეხვევი, ვკოცნი, ახალ წელს ვულოცავ და მანქანიდან გადმოვიდვარ. სადარბაზოსკენ მივრბოვარ. ტაქსი ადგილიდან არ იძვრის. ზურგსუკან, ტანით ეგრძნობ, ვხედავ, თაზოს ვაიცებულ სახეს. ხო, თაზო. ბამბის პატარა, ციცქნა ნამცეცო...




დათო ქარდავა

ლეღვი და მუშა

აგვისტო იყო,
დუღდა ჰაერი ძველ მარშუტკაში,
მაგრამ მიწვეულს,
ოფლის ღერასა და შრომას შუშისას,
არ ვთავილობდი,
მას მიეყვებოდი მშენებლობაზე.
ვაშენებდი კი ცაზე მაღჯენილს
რკინა-ბეტონის უსაზღვრო გოდოლს,
და ქალაქს გულში მას ვაჭედებდით,
ერთხელ იმგზავრა ხნიერმა კაცმა,
წაიგან დაძვარმა, დაღლილმა, შავმა.
ქლივს ამოვიდა ლეღვით საესე მძიმე ეედრებით.
ლკიოდა წითლად დაშსკდარ კანს მიღმა
წნიფე ლეღვების ტკბილი ნაყოფი,
და ეს ლეღვები,
დაცვარული მძიმე ლეღვები,
წმინდა ამოსის თვალეზსა ჰგავდნენ
ავსეს ეედრებით,
ახალმორეფილს, ცრემლეზის მსგავსად,
რძეც კი სდიოდათ
დეზერტერებთან ისე ჩაეიდა,
როგორც დანტე ბნელ ჯოჯობეტში,
რომლის ქიშქართან დახვავებულ იმედების მთას
ტოლს არ უდებდა ბაზრის დაბლთა ცათამბჯენები.
ჰე კაცს მკლავები ანყდებოდა
მწიფე ლეღვთა გრავიტაციით,
და მიდიოდა მშრომელ კაცის შტკიცე ნაბიჯით,
წრდილს არ ჰკარგავდა,
შორს ნავიდოდა,
მაგრამ მგზავრმა ერთმა შენიშნა:
„ჩანთები დარჩა!“
ორი თურქული ჩანთა,
დაკეცილი, კობტად შეკრული,
წერილ მოვაჭრეთა უშნო სამყარო -
კუმბოკრული, ბევრჯერ ნაკერი,
გგდო იმ სკამზე,
სადაც წუთის წინ
თვლემდა ლეღვის შავი პატრონი.
დამუხრუჭა ჩვენმა მარშუტკამ,
მძლოლიც შეწუხდა ჩანთების გამო,
კარი შეაღეს და ჩაუსვლელად,
ოპანიანად დაიდრიაღეს:
„ლეღვიი!“
სიზუმე მოჰყვა ამ ყვირილს,
როგორც მეზის დაცემას მოჰყვება ხოლმე,
და შავმა კაცმა,
წზეზე დაძვარმა მოზუტმა კაცმა
გამოიხდა,
ეედრები დადგა და გამოიქცა.
შეგამეცინა, ამყვა მარშუტკა,
„ლეღვის“ მხმოებელიც იკრიფებოდა,
პერე ერთმა თქვა,



„ლეღვზე“ როგორ მოიხედაო...
მე გამახსენდა,
ოცი წელია მამონს გვიზიდავს
ვიღაც მჭლე კაცი,
არაფინ იცის, ვისი მამაა,
ვისი შვილია,
რა გვარი არის,
რად დადის წარტო,
რა უხარია,
ან უხარია?
არაფინ იცის მისი სახელი,
„მანონს“ ვეძახით!
მშოლოშა დარცხვენით,
მე „მარშუტკა“ ვარ,
ხანაც „მოფერი“.
ეგ არაფერი, სხვამ ანუგეშა,
იმან რაღა თქვას
ვინაც „ნათია“ ანდა „ნაგავი“?
ბოლოს რომ შვიდის „თათრის ბაფია“!
აბა, ყველას რა დაიმახსოვრებს,
მეხსიერების ფუჭი ბარგია.
ბევრი ვიცინეთ,
ენები ვლესეთ,
სახელდაკარგულ ჩვენს ნაცნობებზე,
მერე მთელი დღე ვერ დავივინცე,
„ლეღვის“ სახილზე მზირალი კაცი
მალალ-მალალი და შავი სახით.
მასზე ვფიქრობდი მშენებლობაზეც,
თუმცა ვევიროდი: „მაინა“, „ვირა“.
„სვარკა“ ელავდა,
გუდრონი დღლდა,
ბეტონს ვასხამდი ფართო ყალიბში,
და ვუყვიროდი ჩეჩენ კრანეშკის:
„ნუ, ზეატიტ, ბლიად! ხაროშ, ხარამო!“
მერე რა მოხდა არ მახსოვს ცხადად,
ვიღაც ტიროდა, ივინებოდა,
ეერ გაუძლოო წონას ხარაჩოშ...
ვხედავ მიკროფონს, ხელკეტზე მძიმეს,
გოგო მიყვირია:
„ვინა ხარ, მკვდარი?“
სისხლმა დამახრჩო,
სულს ველარ ვითქვამ,
ბოლო სურვილი ამიხდეს მაინც,
მინდა ვიყვირო,
გაეგებინო:
„მე მაქვს სახელი,
გვარი და სახლი,
ცოლი და შვილი მელოდებიან!“
მაგრამ ჩემს ნაცვლად ვიღაცა ამბობს:
„სხვა ვინ იქნება?
მუშაა მკვდარი!“
ბრაზით უხროტინებ,
მინდა წამოვდგე,
მაგრამ არ მაცლის კორესპონდენტი:
„უკვე ხაზზე ვარ?
მოგესალმებით!
მუშაა მკვდარი, გადმოგარდნილა!
განა პირველი?




ზმელი ბალახი -

გაბრწინილი გვამის უშნო თმა-წვერი;
 სმოგი მის თავზე, ღრუბლებს რომ სწვდება -
 სული, რომელიც ამოუვიდა,
 და მშენებლობა ყოველ ნაბიჯზე,
 მთელ მის სხეულზე
 შვავს გვაშურ ლაქებს, სულ რომ იზრდება,
 თუმცა კი ხალხი,
 დიდი-პატარა,
 არ ტოვებს ქალაქს,
 ენატებიან,
 ცხოვრობენ მასში როგორც მატლები,
 მუდამ ფიზიკები,
 მუდამ მშვირები
 და ხრავენ სრეულს,
 ქალაქის სხეულს,
 დიდი ხნის გაბრწინილს, მაგრამ დაუფლავს,
 მიწად ქცევა რომ არ უნერია.

კალმის რეკვიემი

კალამი დარჩა შოთას ჯიბეში,
 რომ მოიკითხა, ვერ გაიხსენს,
 დაეკარგა თუ ვინმეს ათხოვა.
 მერე პიჯაკი გამოიცვალა
 და დაიწყო...
 როცა იბოვნა ბევრი დღის შენდევ,
 ხაროზე მეტად ღრმა ჯიბის ფსკერზე
 ლეკის ტყეცხათვის რომ ეგდო ბნელში
 (აქ გაახსენდა: გურამიშვილი,
 ჭაფჭაფაძეთა მთელი ჯალაბი,
 ორბელიანის, გრიგოლის ძმად
 და ანა დრანსე საფრანგეთიდან),
 აღარ ვარგოდა კალამი კალმად
 და მოიწყინა!
 ამოეხეთქა გულიდან მელანს,
 და ლურჯი სითხე
 ზღანტი სისხლივით,
 ხელეზზე ესეა როგორც სამხილი!
 აუჯანყდა კი გულმაგინე პოეტს
 მელანი, ლექსად ქცევა რომ სურდა,
 ვერ შეეგუა უმბზო ყოფას,
 ყოფას სითხისას,
 სცადა გაქცევა,
 მისვლა ქაღალდთან,
 კვალის გავლება,
 აზრად გარდაქმნა,
 მაგრამ ვერ შეძლო,
 გაიბრძოლა და იქვე დაიქცა,
 თუმცა კი პოეტს,
 ხელეზმელების და მგლოვიარეს
 დასერილი პიჯაკზე და მის ჯიბეზე,
 სულ სხვა კალამით,
 ან სულაც ფანქრით,
 ეს რეკვიემი დაანერინა.



გელა ჩქვანავა

პოეტი, ფეხბურთი და ანგელოსი მეშვიდე სართულიდან

თუ პაპანაქება სიცხეში მზემ დაგაჭირათ
და მოგეჩვენათ რომ მას თქვენი დადნობა
გადაუწყვეტია წყლიდან ამოგდებული
მედუზასავით ან ჩრდილგადასულ ძელსკამზე
შეგყარებულია ჩხუბის შემდეგ მივიწყებული
ნაყინივით ჩათვალეთ რომ სულაც არ მოგეჩვენებიათ
ასე და სვლა განაგრძეთ მოიხადეთ ქუდი და
შორს მოისროლეთ ან თუ ვერ ელევით შარვლის
ჯიბები მაინც ჩაიკუჭეთ და დადნით მედუზასავით
ან ნაყინივით

პალიმფსესტი ვარ იმ ერთი წინაპრის
სულზე გადაწერილი ვისი სახელიც
დამარქვა მშობელმა მამამ რომელმაც
ობიექტურ მიზეზთა გამო იმას
კი არ გააჩენინა ჩემი თავი ვინც
უყვარდა თავდავინწყობით არამედ
სულ სხვა ქალს სიცოცხლის ბოლომდე
ყოველ დღე რომ გვიდა უკლებლივ
ყველა ოთახს უკლებლივ ყველას
დააკრიალებდა ყოველივეს და
მაშინ ალბათ სადღაც ერთი ნუთით
მაინც ბედნიერი გახლდათ



თუ პაპანაქება სიცხეში მზემ დაგაჭირათ
და მოგეჩვენათ რომ მას თქვენი დადნობა
გადაუწყვეტია ჩათვალეთ რომ სულაც არ მოგეჩვენებიათ
ასე ქუდი მოიხადეთ და სვლა განაგრძეთ

შო ისიც მოკვდა ქალი მეშვიდე სართულიდან
ანგელოსივით ლამაზი ქალი
გიჭოტებს რომ მეძაბოდა და გულიანად იცინოდა
როცა კორპუსის ეზოში ბავშვებს ფეხბურთი ვეთამაშე
მოკვდა უფრო სწორად დაიღუპა მისი
დამტერეული მანქანა ტელევიზორშიც აჩვენებს
საფარაუდოდ საჭესთან ჩასძინებოდა
ხრამში გადაჩეხილს
თვითონ დაურეკავს სასწრაფოში
მაგრამ არავინ იცის გაიგონა თუ არა
მისი სირენის ხმა
ხელჩანთაში ერთი ფერის მაგრამ
სამი სხვადასხვა ტონის
ტუჩის საცხი პქონდა და ზვის ტოტი
ლოტოს ბილეთიც და უცებ მომინდა
იქვე პქონოდა ჩემი ბოლო კრებულიც

მისი ნაბიჯების ხმა ახლაც ჩამესმის ყურში
უფრო სწორად მძილკა ტუფულების
ანგელოსივით ქალი
რომელმაც არასოდეს უჭირდა გადანეტილებების
მიღება
გაიღვიძა ერთ დილით და გადამწყვიტა
რომ უსიყვარულოდ აღარ გათხოვდებოდა
იმავ დღეს ნიშნობის ბეჭედი დაუბრუნა საქმროს
მას მერე კი ვერავინ შეადო მისი გულის კარები
გაიარა დრომ და არ ვიცით რა დასისიზმრა კვლავ რა
სიზმრის ბზიკმა უკბინა მაგრამ იხე და ისევ
ერთ დილას უცებ გადამწყვიტა რომ მანქანა

უნდა ყოლოდა იაფად
გაყიდა მამისეული აგარაკი და იყიდა ჯიბი
იმ დღიდან თმებსაც ქერად იღებავდა და
იმდევ უფრო დაემსგავსა ანგელოსს
ოლონდ თავისნათქვამას
მისი ნაბიჯების ხმა ახლაც ჩამესმის
და სულ ვცდილობ დავნერო მასზე ლექსი
გრძელი მაგრამ ისეთი რომ მოსანყენი არ იყოს

თუ პაპანაქება სიცხეში მზემ დაგაჭირათ
და მოგჩვენათ რომ მას თქვენი დადნობა
გადაუსყვებია ჩათვალეთ რომ სულაც არ მოგჩვენებიათ
ასე ქუდი მოხაფეთ და სვლა განაგრძეთ

მანამდე კი ითამაშეთ ფეხბურთი
შვილის ტოლა პატარებთან ერთად თქვენივე
კორპუსის ეზოში რომ ალაღად გავცინოთ
ქერა ანგელოსებს ან შავგვრემანებს
ითამაშეთ ფეხბურთი შვილის ტოლა პატარებთან

სინანულის ლექსი

მატარებლები თავიანთი მძიმე ბორბლებით
მოგზაურობენ მძიმე რელსებზე მათთვის
რომ გააკრეს როგორც ჯვარზე მუხის თუ კედრის
ან სულაც ევკალიპტის – ასეთებიც ყოფილა სადაც –
განძელებზე საგანებო ხსნარით გაღვნილილებზე
კეროზოტი რომ ქვია
ხშირად რომ ერევთ ბიტუმი და გუდრონი
და სიცხეში სპეციფიკურ სუნს გამოსცემენ
რომელიც ვის როგორ მაგრამ მე მიყვარს ისე ძალიან
ზოგჯერ ფეიქრობ მატარებლებიც ანა ხომ არ
შემაყვარა – მეთქი არადა პირიქით უნდა იყოს

რელსებიც მიყვარს განძელებზე როგორც ჯვარზე
გაქრული მაპატიე ღმერთო ასეთი შედარებისთვის
მაპატიე იმ ჩემი უძილო ღამეებისთვის
როცა შენს გარდა ვფიქრობ ყველაზე და ყველაფერზე
ჩემი ღრმა ძილისთვისაც მაპატიე როცა შენს მიერ
მომგვრებული ანგელოსი მდარაჯობს ხოლმე
საყარძელში მოკალათებული ან თუ ნასვამი ვარ
უფრო ახლოს სკამზე ჩამომჯდარი
რომლის საზურგეზეც გადაგვიდებ ხოლმე
შარვალს და პერანგს დანოლის წინ
მაპატიე ღმერთო იმისთვის რომ არ მესიზმრებო

მატარებლების სივანლის ხმა ხომ ისედაც მაგრამ
ზერინვის ხმაც მიყვარს მეზობელი კუქედან არ
ვიცი რატომ არის რომ მატარებლებში მყოფი
თითქმის არ ფეიქრობ შენზე მაიმონ
როცა ხშირად გიხსენებ თუნდაც ავტობუსში
ან როცა თვითმფრინავში ვზივარ მინიდან
ათი ათასი მეტრის სიმაღლეზე

განდევილი გახლავარ და კეთროვანი და არც
ვიცი იმ ქვეყნადაც ვივარგებ თუ არა
იმ საგანგებოდ მოქსოვილი ტილოს
ნაჭერივითა ვარ რისგანაც აფრა კი
არ შეკერეს არამედ კომბინიზონი
პორტის მუშებისთვის

მაპატიე და მაძლობა ხელში აყვანილი
რომ დაგყავდი ღმერთო



როცა არა გაქვს სახლი

მოზილურის დამტენს ყველა იმ სახლში ინახავს თავისად რომ ეგულება მე ჯიბით დამატებს როგორც მანანალას თუმცა მანანალებს ტელეფონები აღარ სჭირდებათ ისინი ძვირითან ვისკიაიც კი უბრალოდ სვამენ არ ესიზმრებათ ზაფხუმის სახლი არც ყოფილი ცოლები და არც პირს იბანენ დილ-დილაობით რათა ეს სიზმრები ჩამოიბანონ მოზილურის დამტენი მე ჯიბით დამატებს და ტელეფონსაც თავის დროზე ვეზუტავ რომ დარეკონ ჩემთან თავიანთი სახლებიდან ქალაქებიდან ქუჩებიდან ავტობუსებიდან სამსახურიდან დაკრძალვიდან რედაქციებიდანაც მზიარულებმა ნალელიანებმა მედიურებმა სენტინელტალურებმა რეალისტებმა მოკრძალებულებმა მონატრებულებმა მომეზრებულებმა მოზილურის დამტენი მე ჯიბით დამატებს მარცხის ზოგჯერ პერანგის ზოგჯერ ქურთუკის ჯიბით დამატებს და თუ არა მაქვს თუ დამრჩა სადმე თავს ეგრძნობ შიშვლად დაუცველად და მიქრება ყველა იმედი ასე მგონია რომ ექვემდებარება ჩემი არსებობა და ამ მოვლენას უბრალო სახელი ნევროზი ეწია ამიტომაც არის რომ დრო და დრო მესიზმრება ფერადი სიზმრები დილით კი ვიბან პირს ზოგჯერ წვერსაც გავიპარსავ და ვამბობ ჩემთვის რომ ვარ მანანალა ზოგჯერ კი ვამბობ რომ მანანალა სულაც არა ვარ უფრო სწორად პარკები ევლებები საკუთარ ორეულს რომელიც ჩემსავით ბერდება კბილები აკლდება თმებიც სცვივა ამასთან ერთად მაგრამ თმებზე ნაკლებად ვდარდობ რადგან არსებობს ქუდი ან კურტკის კაპიუშონი მერე გაფიქვარ გარეთ და შიუხედავად იმისა თუ რა ვუწოდებ საკუთარ თავს ცოტა ხნის წინათ იქ სარკესთან ეფიქრობ რომ ყველა ნევროზიანი საბოლოო ჯამში მანანალაა ფიქრობ იმაზეც რომ დროა თავი დაგანებო მონევას სულ ტყუილია რომ პოეტს უხდება სიგარეტი სულ ტყუილია რომ სახლი ადამიანს შველის რომ ის მისი ციხე-სიმაგრეა არ მიყვარს ციხე-სიმაგრეები გაღანები ზინური კედლებიშმაგვარი თუ სხვაანირები მოზილურის დამტენს ყველა იმ სახლში ინახავს თავისად რომ ეგულება მე ჯიბით დამატებს

კაფელის გაკვრა

ახალ საბაზანოში კედელზე ვაკრავდი კაფელს ვაკრავდი კარგად ანუ ხარისხიანად პატრონს მთელი თორმეტი ლარი უნდა გადაეხადა კვადრატულ მეტრში სარკმელში ცა ჩანდა და ცაზე ღრუბელი უბრალო რიგითი ღრუბელი ანუ ისეთი მხოლოდ საკუთარ თავს რომ გაედა და არა თუნდაც მუნკის ნახატს სახელწოდებით კივილი ან ველოსიპედის პედალს

სამზარეულოში მზიარული დიასახლისი ჩემთვის ტაფაზე კუპატებს წავადა მაშინ ადამიანები გახლდნენ უფრო კეთილები და სადილითაც უმასპინძლებოდნენ ხოლმე ხელოსნებს განსაკუთრებით მაშინ როცა ისინი იყვნენ მორიდებულები და სევდიანები როგორც მე




სამზარეულოში ჩემთვის ტაფაზე კუპატებს წავადა დიასახლისი თავისი ახალი ქმრით კმაყოფილი რომელიც ყველა სურვილს უსრულებდა თანაც სიმპათიური გახლდათ და მოვლილებდა

ბედის ნებეირაც ისიც იცოდა ვაჟბატონმა რომ შექება
ხელოსანთა უმეტესობაზე დადებითად მოქმედებს
განსაკუთრებით მაშინ როცა ისინი არიან
მორიდებულები და სევდიანები
როგორიც მე ვიყავი მაშინ

ამიტომაც ისე გულმოდგინედ ვირჯებოდი
თითქოს ჩემთვის ვცდილობდი და იმ ახალ დიდ
სააბაზანოში ასე ლამაზად რომ მოვრთე კაფელით მე
და ჩემს ცოლს უნდა გეგებანავა რომელიც მაშინ
ორსულად მყავდა

ახალ სააბაზანოში კედელზე ვაერადი კაფელს
სარკმელში ცა ჩანდა და ცაზე ღრუბელი
საკუთარ თავში ჩაქცეული როგორც მე სააბაზანოში
არ ზოიანებდა ზედქვედა წარმოსახვას ანუ არ გავდა
რამეს და იყო ღრუბელი საკუთარი სახით



სანამ დალპება ვაშლი

ანუ ლექსი-აბსურდი გზაბნეულთათვის სევდის სიტკბოზე

ორი თვის წინ გაყიდული ძროხა პატრონს რომ დაუბრუნდება
ჭოქკართან შებღველებს და მშვიდად და ერთგულად განაგრძობს
ცოხნას და ლოდინს ხოლო გარეთ გამოსული პატრონი ტელეფონით
იმასაც გაიგებს რომ ახალ პატრონთან მოგებული ხბო მოკვდომია იმის დანახვაზე
კი თუ როგორ ედგება რძე ჯივნიდან ერთს ანოთხორებს ჩამონეწვლია იქვე ნაჩქარევად
იმ მინაზე დაღვრილ რძეში ღმერთს დანახავს სულ ტყველია როცა ამბობენ თითქოს ზღარბს ვაშლები
ზურგით გადაეცეს თავისი ბუნებისა, კენის საერთოდ არ იმარაგებს ზამთრისთვის სანოვანებს
რადგან ამ დროს ძინავს და ესეც რომ არა ზურგის გელებზე ნამოცმულ ვაშლს დამოუკიდებლად
ვერაფრით მოიძრობს გაყიდული ძროხებიც პატრონებს ძალიან იშვიათად უბრუნდებათ
მაგრამ იმ ერთეულ შემთხვევას თუ შეესწარიტ და ყველაფერი ისე წარმოართა როგორც
აღესრულ ჩათვალე რომ გაგიმართლათ რადგან ვაქეთ შანსი მინაზე დაღვრილ რძეში
იხილეთ ღმერთი აბა წარმოიდგინეთ სულ ერთი ნამით ან თუ გაუძლებთ უფრო
მეტი ხნითაც წარმოიდგინეთ ადამიანს თვალები რომ არ ქონდეს და გავდეს
წვიმის ქიას გრმას და სლიძინას მანსოვს ერთხელ ბავშვობაში როგორ
ვესროდეთ მშვილდიდან ისარი მეზობლის დენის სადენს ისარმა კი
მოულოდნელად მიზანს მიაღწია მოხვდა სადენს მოხდა მოკლე
ჩართვა სადენი დაინგა მეზობელი კი თავის სტუმრებიანად
უშუქოდ დარჩა მერე დიდხანს ისხდნენ ბივანზე ლამდის
შუქზე მუსაფობდნენ მე კი გატრუნული ვინცეი
ლოკინში და ვიყავი ბედნიერი რადგან ვერავინ მიხვდა რომ ამ
ყველაფერის მიზეზი გახლდით ისინი კი საუბრობდნენ ძალიან დიდხანს
ლამის დილაზედ მეორე დღეს კი მამამ დაპირებული ტყავის წითელი ზურთი
მომიტანა და მე ისე ბედნიერი ვიყავი აღარ მრცხვენოდა რკინის ბრჭყალებით
ბოძებ სასული მონტაჟორის რომელიც სადენს ცვლიდა ხოლო რატომ მოვიტახოვე
რომ ბურთი მაინცდამაინც წითელი ყოფილიყო ნლტბია გიხსენებ და ვერ გაგიხსენებ
სამაგვროდ დაგიწყებთ მტკვრი გადავაცალე სწავ უამრავ რამეს ფაქტს მოუვლენას
და მივდიდი იმ დასკვნამდე რომ ძალიან მივეჩერე დღიურებს რომ არ წესდებოდა იმ
დასკვნამდეც მივედი რომ არ იქნება ურიგო ამ საქმეს ახლა მაინც შევუდგე
მაგრამ არ ვნერვები ის რაც შორია არ არის მძიმე თუნდაც მთა ან პლანეტა
ანდა წარსული და საერთადაც მოძრაობაში არის სიამე და შვება

ჩებურეკების მოყვარული აფერისტის სიკვდილი

ცისფრეთვალბა
დაუღალავი
ტელეფონის უამრავი ნომერი ახსოვდა ზეპირად
და უცებ მოკლეს ჩვენი უზნის აფერისტი
არც აღადრებდა რომ ვერ იხდიდა ვალებს
ჩებურეკებს ზოგჯერ მაშინააღა ძაღლებსაც უწილაღებდა
იმასაც ამბობდნენ ლიფტსაც ატყუებს

და ნისიად ატარებინებო თავს

ვიღაც მეგაღმ
ჯარის ამხანაგმა
თევზაობის დიდად მოყვარულმა
მუცელში დანა ისე მშვიდად გაუყარა
თითქოს სამზარეულოში ახალდაჭერილ თევზს ფატრავდა
გამოსანეცელად მისი შვილი ანუ მკვლელის
ლოტბარი ყოფილიყო მაგრამ ლოთი სამჯერ ნაცოლარი
ამ მხრივ ჩვენი უბნის აფერისტი ერთით ჯობდა

ოთხგზის ოჯახიდანგრეული მილიონჯერ დაწყვეტილი
ჩვენი უბნის აფერისტი მოკლეს
ვალებს კი არააღა ალიმენტებსაც აღარ იხდიდა

ალიმენტებს არ იხდიდა
მაგრამ ნაშთებს ორჯერ მეტს ჩუქნიდა
გალად ალბეული ფულიდან და
უსევბოდა წინაპრებზე ათასწიარ საინტერესო ისტორიებს
ისე ცოცხლად და დამაჯერებლად
თითქოს ამ ამბების თანამონაწილე თვითონაც ყოფილიყო
მოკლეს ჩვენი უბნის აფერისტის თვალთა ემბავები
ვერ აიღებს ვალებს ვეღარც ჩებურეკებს მეჭამს
და ვერც გაუყოფს ძმურად ჩანანალა ძაღლებს და მე ახლა
მათზე რომ დავხერო მისი სიკვდილი წინასწარ იგრძნეს
და ყმუოდნენ-მეთქი იქნებ დამიჯეროს კიდევ ვინმემ
და შეიძლება ლეცსაც მოუსდეს მაგრამ არ ვნერ
ჩვენი უბნის აფერისტი მოკლეს
უკვე ვეღარ დააშავებს იმდენს
რომ სასიკვდილოდ გაიმეტოს ვინმემ



მე რომ ვიყო პრეზიდენტი

მე რომ პრეზიდენტი ვიყო ყველა სოფელში დავნიშნავდი
თითო ტრამვაის თავისი გატანით და ივლიდნენ ისინი ველ-
მინდვრების გავლით ძროხების თვალწინ კამეჩების თვალწინ
ლორ-გოჭთა თვალწინ მოვახატინებდი შიგნიდან გვირილებით და მაგ გვირილებში
ჩავასმევინებდი სოფელში მიცვალებულთა ფოტოსურათებს რომ ყველას
ახსოვდეს რომ თბილი ღიმილით შეხედონ მკედარ სახლეულებს
ნათესავებს და მეზობლებს მე რომ თავად პრეზიდენტი ვიყო

მე რომ პრეზიდენტი ვიყო ყველა იმ ტრამვაით ვიმგზავრებდი
ინკოგნიტოდ და მთელს ჩემს ხელფასს გრიძიორებში დავხარჯავდი
პრეზიდენტის დაუუნებელი ჩემი ვიბიდან მათაც რომ უნდა არჩინონ ოჯახი
და შეიღებოს სკოლაში ბუფეტის ფულიც გააყოლონ დილ-დილაობით მე რომ
პრეზიდენტი ვიყო ყველა სოფელში დავნიშნავდი თითო ტრამვაის და ივლიდნენ
ისინი ფოტოგრაფიანი გვირილებით მოხატულები ველ-მინდვრების გავლით ძროხების
თვალწინ კამეჩების და ლორ-გოჭთა თვალწინ მათ დასათვალიერებლად
ტყის პირას ერთად მეგზუფუფებულ ტურა-მელა-მგელთა თვალწინ

ახალგაზრდა ღამურა

თავდაღმა კიდა
შია
ვერა და ვერ ჩამოხედდა
მას კი ისე ძალიან უნდა რომ მოვიდეს ღამე
ფრთხები გამალოს
ის ხომ ახალგაზრდაა მაქარივით
უდულს სისხლი ყველა სისხლძარღვში

და კამილარში

მისი ფრთები მისი სიმდიდრეა
 ვარსკვლავებს ეთამაშება
 ეს ცმაწვილი
 ამბობენ მასზე სხვა ღამურები

უგრძნობდა გული რომ დამდეგ ღამესაც
 არ ინიშნებდა
 და ამიტომაც გამთენიისას მშვიდად დაიძინა
 უცდომელია მისი ულტრაბგერები
 ორიენტირების საშუალებას რომ აძლევს
 ექოლოკაციის შემოქმედმა დიადმა
 ღმერთმა ნუ ქნას დაკარგოს იგი

ის ახალგაზრდაა
 ჯან-ღონით სავსე და სულაც არ ფიქრობს
 როგორც მისი შმა რომ კარგი იქნებოდა
 თუნდაც ბუდ მოეღწეოდა ქვეყნიერებას
 დედამისი კი მოხუცდა და დაღატოცუნ
 ულტრაბგერები დაუჩლუნგდა უნარი ნავიგაციის
 ამა სწავთ ფრთებით გაიხილართა ზის ტოტემაში
 წუხელ კი სადღაც დია სარკმელში შეფრენილა
 და დილაზე უძებნია გამოსასვლელი უთავბოლოდ
 დაფრინავდა თურმე ოთახში აწყდებოდა კუთხიდან
 კუთხეს გაუმართლა
 რომ მასპინძელიც ერთი გადამდრძელი დედაბერი
 ყოფილიყო ყურს აკლდა და ამიტომ ხმაურმა
 ვერ განთავსებდა

ის ახალგაზრდა ღამურაა
 მთელი ცხოვრება წინ აქვს
 მისი სიმდიდრე მისი ფრთებია
 მადლობა ღმერთს რომ არ არის წვიმა



მე ვიცი საიდან მოდის ჩაი


სოფელი სადაც ზაფხულობით ბაგმეობაში ვისვენებდი
 ხოლმე ბიძაჩემთან კოლმეურნეობის გაზ-51-ის მოფერთან
 თაკარა მზისქვეშ თუ წვიმაში მკრეფავი ქალები კრფდნენ ჩაის
 ზოგჯერ კი შუადღისას სახლშიც არ მიდიოდნენ ჩამოსხმებოდნენ
 სადმე პლანტაციებს შორის ხეთა ჩრდილქვეშ და მიწითმეცდნენ
 სახლში გამომცხვარ პურს კიტრს პომიდორს და ყველს ყველაფერი
 გემრიელი იყო მათ უკან კი მათი ოფლიანი ქილის ქუდები შრებოდა
 ნიაჭზე სადილის შემდეგ მე მათთვის წყაროდან მომქონდა წყალი ალუმინის
 მოცტრო ბიდონით და ისინიც საბამ დაღევდნენ რიგ-რიგობით მლოცავდნენ
 სახანდარტული ტექსტით მაგრამ გულით ხოლო წყურვილს რომ დაიცხრობდნენ
 და ალუმინისავე ტოლჩას გვერდით მჯდომს გადასცემდნენ თითქოს ესეც
 რიტუალის ნაწილიყო გაირინდებოდნენ ხოლმე ალალ თვალეში კი წაღველი
 ჩაუდგებოდათ ამ დროსათვის ბიძაჩემის მანქანის ბარა პირთამდე გახლდათ
 სავსე მათი მოკრეფილი ჩაით და მე და ბიძაჩემს ფარბრიკაში უნდა წავგელო
 ბრიგადერთან ერთად რომლის სიგარეტებსაც ბიძაჩემი დაუკითხავად ეწეოდა

როგორც ბიძაჩემი ალარც ჩაის მკრეფავი ქალები არიან ცოცხლებში ზოგჯერ დიდ
 -დილობით მუშაობისას რომ ამღერდებოდნენ უცებ ეს მაშინ ალბათ რიცა
 საკუთარი პარნაობები მოენატრებოდათ მესიზმრებთან ზოგჯერ ისინი და ძილშივე
 მენატრებთან მათ ნაკლებადმოვლილ საფლავებზე ახლა ჩიტები ჭიკჭიკებენ და
 გალობენ კიდევ როგორც სამოთხეში ახლა ჩაის პლანტაციებიც ალარ არის და
 ქილის ქუდებიც სხვანაირია უკვე

ლელა სამნიაშვილი

ქებათაქება დემოკრატის

რა გადაფარავს ჯამბაზის ქარიზმას,
ფერუმარის და პარიკს რომ აისხამს,
პირზე რომ განელავს ლიმილს.
მან იცის, რა უნდათ ბავშვებს და მოზრდილებს,
დარბაზში ამდენი პარკით რომ მოზიდეს
ზიკსი და მიწისთხილი.
ჯამბაზის გარეშე სპექტაკლი არა ღირს,
არცერთი ტრიუკი, არცერთი მაღაფი
და ათასნაირი რისკი.
ყველაზე მდაბალი, ყველაზე მაღალი,
ორჩოფებიზე შემდგარი ამაყად -
ჯამბაზი მეფეა ცირკის.
ველური მხეცების პირქუში მწრთენელები,
ილუზიონისტის მოქნილი ხელები -
ემორჩილებიან ჯამბაზს.
ზოგს ეს აბრაზებს,
ერწიან ჯამბაზებს,
მაგრამ ასე სურს დარბაზს.
ტრაგედიები მოსაბეზრებელი -
ანგელოზებით და ბელუზებლებით -
ნუთმსეცენებას იწყებს.
ჯამბაზი არაფრად დაგიდევთ ნესებს
და ერთი ბორბლით ტრიალებს წრეზე
და აბურთავებს სოტყვებს.
არ ვიცი, ვინ არის ცირკის დირექტორი,
ან გამათებელი, ან კიდევ დიქტორი.
ცირკმა ჩაყლაპოს ისინი.
კარგასანია შეთანხმდით ამაზე,
მთავარი არის კარგი ჯამბაზი,
რომ გაცინებს და იცინის.
მას შეუძლია განითლდეს სირცხვილით,
გალურჯდეს რისხვისგან და მაინც იცინოს.
ამიტომ, დიდება ჯამბაზს!
მოკლედ, რა თქმა უნდა, ზოგს ეს აბრაზებს
და რა თქმა უნდა, ერწიან ჯამბაზებს,
მაგრამ ასე სურს დარბაზს.



პატარა კერძო სამოთხეებში

"დედამინა გასკდა,
როცა კვირის თოფი ესროლეს" -
თქვა ჩემმა შეილმა შემოდგომის მწიფე შუადღეს,
როცა სოფელში, მსხოიარე ბაღში მოკლული
ლურჯი ხავერდის ფრინველი ნახა.
გვერდგამოჭმული ლეღვები ტოტზე -
პირდაღებულ ბაყაყებს გაჯდნენ.
დაკარგვოდით მთელი სიტკბო,
ნიშნისმოგებით ყიყინებდნენ აბეზარ ხმაზე.
მებაღე ხომ მართალია ამ შემთხვევაში -
ის რგავს, ის რწყავს, მოთმინებით ის ელოდება,

როდის ჩადგება გულებში წვენი,
 როდის ჩადგება კანში შაქარი.
 ამიტომ პირის დაკარგვაც არის მხოლოდ
 მისი უფლება. თოფის გასროლაც -
 ამ უფლების დამოწმებაა.
 ბელურები, შოშიები, კვირიონები -
 ეს ლამაზი, საძაგელი უსაქმურები,
 წესრიგს რომ მაინც ვერ მიეწვივნენ -
 იყენებენ ფრთების ზღაპრულ პრივილეგიას -
 დაფრინავენ თავის ნებაზე,
 არ იციან ტყუილ-მართალი,
 პირველყოფილი უმანკოებით
 უნაკვეთბო ცის ბაღიდან ესხმიან მინას,
 ოქროსფერ მარცვლებს უნის კარტებენ,
 შემოდგომის ძაბარა კერძო სამოთხეებში -
 თითქოს მათთვის გაფენილიყოს
 აგარაკები ტბილი ნაყოფით.
 დიახ, ძებალე მართალია,
 მაგრამ ბავშვიც არის მართალი,
 როცა მკვდარ ფრინველს პირველად ხედავს,
 მას კი ლურჯ ყელზე უთვალავი ფერი გადასდის
 და მკვდარიც ისე ლამაზია, თითქოს, სამყაროს,
 ყველაზე დიდი მონდომებით ის შეექმნას
 ბაღისა და მებაღის მიღმა.

* * *

ცალკე - ნაჭუჭი, ცალკე - უღელი -
 ამ გულიანაიც წლები გამოხრავს.
 სადღაც გრძელდება აუღელვებლად -
 სულების, როგორც სპირტის გამოხდა.
 სამყაროს ევაბი. მუცლების გვრემი.
 სუნზე ჭინკების წრე შეიკერება.
 კმაყოფილები იტყვიან - გემო
 ნელს შარშანდელზე მწარე ექნება.

დილის სონეტი

ჰორიზონტიდან გამოვძვერი საღსალამათი,
 კანისქვეშეთი დილის სიმბეჭა ოდნავ გაკანრეს,
 დღემ ძველებურად მიუშვირა სახეს სანათი,
 თხელმა ქუთუთომ გადაწია მძიმე საკაცე
 ძელების. და ისევ გამოვძვერი, თავი წავართვი
 უძელო სამყაროს - გონებაში გამლილს, გაფენილს.
 დამხვდა სახელი და სხეული და მისამართი,
 ძვირფასი სახე რამდენიმე და ყველაფერი
 რაც წუხელ ძილმა გადაუარა. ავტომატურად -
 თვალის გახელა, წამოდგომა, საათის ბრტყელი
 მონოლოგი და ყავის გემო არომატული,
 გრძნობა, რომ ცხვირწინ ხელუხლები, ახალი დღეა.
 და თვალის ფანქრის მკვეთრი ხაზი - სარკის გადღამა.
 ხელის ოდნავი გატოკება. ცხადის გადღამა



მაიკლ ჰოფმანი

უნდა გაუმკლავდე უსუსურ არსებებს

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



ჟოლეს სტივენსი და უილიამ ფოლკნერი

მახსოვს, როგორ მღეროდა ჯგუფ Soft Machine-ის შედოლე და ვოკალისტი რობერტ უაიატი თავისი მაღალი ხმით (რომელიც ხშირად უწყდებოდა ხილ-მე) და კოკნისეული დიტებით:

ხუთი ფუტისა და შვიდი დუიმის სიმაღლისა ვარ,
მიყვარს თამბაქო, სმა და ფეხბურთი.

ეს ყვითელი კოსტუმი შემმა შემიყვარა.

ყოველდღე მივითმევ ერბოკვერცხსა და ჩაის,
მაგრამ ყველაზე მეტად მიყვარს საუბარი

საკუთარი თავის შესახებ.

ამერიკელ პოეტს, ჟოლეს სტივენსსაც უფვარ-ლა ჩაის სმა - და ყოველ საღამოს შეეცდებოდა "იმ-პორტულ ჩაის", რომელსაც პატარა ვაფლებს ატან-და. შესაძლოა, სტივენსს სურდა, ჩაით გაეზავებინა დაღეული მარტინი (სტივენსის "პემი", სახელად

ელსი, ბუზლუნებდა, როდესაც პოეტი მარტინის სვამდა), სხვა მხრივ კი სრულიად განსხვავებოდა უაიატისგან. სტივენსი ექვსი ფუტისა და ორი დუი-მის სიმაღლისა იყო, 18 სტონს იწონიდა, ელევან-ტურ ნაცრისფერ კოსტიუმებს იცვამდა, სძაგდა სა-უბარი თავისი თავის შესახებ, თამბაქოს არ ეტანე-ბოდა - მხოლოდ შუა ხნის ასაკში ეწეოდა სიგარებს. არ ვიცი, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ფეხ-ბურთის ან ერბოკვერცხის მიმართ, რომელთა შე-საბრებ, ოდენის თქმით, უხეირო ბიოგრაფიებში სა-უბრობენ ხოლმე.

ამასთან, არსებობს იმგვარი უხეირო ბიოგრა-ფიები, რომლებიც არაფერს გვაშინებენ პოეტთა კულინარიული მიდრეკილებების თაობაზე. პოლ მა-რინის The Whole Harmonium სწორედ ასეთია. აე-ტორი შეეცადა ჩასწვდომოდა სტივენსის პოეზიის

არსს და დაედგინა მისი ადგილი თანამედროვე ლიტერატურაში. მაგრამ უოლეს სტივენსი იყო მართლაც პიროვნება, რომელი სახელიც უშუალოდ არც ერთ მისი დროის ლიტერატურულ სკოლას ან პოეტს არ უკავშირდება. გასაკვირი არაა, რომ ელსიმ ქმრის სიკვდილის შემდეგ გაეცადა სტივენსის ნიგბეტი და ხიფთები, გასაძღვლა წერილები და მისი წერა ერთ-ერთ ადრეულ ბიოგრაფიას: "უსნა ვითარათ, რომ კრიტიკული ბიოგრაფიის დასაწერად აუცილებელი არაა მისტერ სტივენსის პოეზიის გააზრება. მისტერ სტივენსს სიამოვნებას ანიჭებდა პოეტური შემოქმედება, რომელიც მან მთლიანად გამოქრდა თავისი ოჯახური ცხოვრებისგან და თავისი პროფესიული საქმიანობისგან - არც ერთ მათგანს არ ქონდა უშუალო კავშირი მის პოეზიასთან".

Harmonium (1923) - სტივენსის პირველი პოეტური კრებული - ისევე ბუნებრივად იშვა, როგორც ათემა ზეგის თავიდან. რა ტრადიციები იდგა ამ კრებულის უკან, თუ არ ჩავთვლით ფრანგულ *dis-neuvi me*-სა და შექსპირს (საერთოდ, სტივენსის მთელი პოეზია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც "ქარიშხლის" განვრცობილი ვერსია)? ალბათ, ყველა თვალსაჩინო მოდერნისტი პოეტის - პაუნდის, ელიოტის, მაურის და სტივენსის - პირველწყარო ბრაუნინგის ან პერინ უგვისის შემოქმედება იყო (რასაც სულ უფრო მეტად გრძნობდები).

სტივენსის ნაწარმოებთა მკითხველთათვის საუკმაოდ კარგადაა ნაცნობი პოეტის ცხოვრება: ის სწავლობდა პარფუმში; მუშაობდა იურისპრუდენციის სფეროში და, იმავდროულად, წერდა ლექსებს; მსახურობდა სადაზღვეო კომპანიაში; დაცოლშვილდა; უშუალოდ ელაშტოდა პარტფორდში; არასოდეს გასცილებია ჩრდილოეთ ამერიკის საზღვრებს; ხანდაზმულობისას მიენიჭა ჩვეულებრივი სტივენი. არასოდეს მიგრძნია იმის საჭიროება, რომ სტივენსის ბიოგრაფია დაწერილიყო. ახლა, როდესაც ნაკიკითხე ბიოგრაფია, რომელიც დანერგა მარიანომ - პოეტთა ბიოგრაფიების სერიის აუტორმა (მან უკვე გამოაქვეყნა ამერიკელი მწერლების - უილიამსის, კრეინის, ლოუელისა და ბერნიერის ბიოგრაფიები), ეს აზრი არ შემცვლია. გაცილებით უფრო ინფორმატიულია სტივენსის ცხოვრების 11-გვერდიანი ქრონოლოგია, რომელიც ამერიკის ბიბლიოთეკამ გამოაქვს და, ალბათ, რამდენიმე ხნის წინ ჯოან რიჩარდსონის მიერ გამოქვეყნებული 15-გვერდიანი ესკიზი, სახელწოდებით "უოლეს სტივენსი: პორტრეტი" (რომელიც არ ნამიკითხავს), თუ არაფერს ვიტყვით ზუპირ ბიოგრაფიაზე "მოგონებები უოლეს სტივენსის შესახებ" (ავტორი - პიტერ ბრაზო, 1983 წ.).

სწორედ ბრაზომ შეადგინა სტივენსის ყოველწლიური შემოსავლების საინტერესო წუსხა; მანვე მოიძია ძალზე საინტერესო მოგონებები (იმ ადგილების შესახებ სამხრეთის შტატებში, სადაც სტივენსი გაუერთესხა ხამანკების რაფაელი ეკუბებთან; ბრაზო მოგვითხრობს, აგრეთვე, როგორ გამოიყურებოდა პოეტი პერიოდული დიეტების შემდეგ, როდესაც კოსტუმში ტანზე ტომარასავით ეკიდა) და წარმოგვიდგინა მისი ყველაზე ზუსტი პორტრეტი. სტივენსი მუშაობდა პარტფორდის საგზაო შემ-

ოხვევებისა და სადაზღვეო კომპანიაში; მუშაობდა ბინებში, საშუალო მაგადაზე არ ედო ცოლისა და ქალიშვილის ფოტოსურათები. ბრაზოს თქმით, პოეტი ხშირად იყენებდა ვებსტერის დიდ ლექსიკონს; კითხვა და წერა დიდად არ უყვარდა; "ორიოდე კილოთი ვლამპარკეზობდა თანამშრომლებსა და ნაცნობებს; ახლო მეგობრები ჰყავდა, მაგრამ მანერ მარტოსული იყო; არ პასუხობდა კითხვებს პოეზიის შესახებ, რომლებითაც მას მიმართავდა ხოლმე პარტფორდის წიგნის მალაზიის მეგობრები".

მარიანის წიგნი მეცნიერული, კრიტიკული, ინტელექტუალური, "მშრალი" ბიოგრაფიაა, რომელიდანაც ვერ შეიტყობთ, სად ან როგორ გავიწი სტივენსმა თავისი ცოლი, ელისი მოლი 1904 წელს. სამაგიეროდ, ავტორი ოთხ გვერდს უთმობს სტივენსის ერთ-ერთი ლექსის - "კვირადღის დღის" ახალბეას; ის არ განმარტავს, რა არის "თავმდებლის მოთხოვნა" (დაზღვევის სახეობა, რომლითაც სტივენსი დაკავებული იყო 1916 წელს პარტფორდის საგზაო შემოხვევებისა და დაზღვევის კომპანიაში; 1934 წელს სტივენსი ფორმის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა და გარდაცვალებამდე ამ თანამდებობაზე მუშაობდა), მაგრამ ამტკიცებს, რომ სტივენსის ადრეული ნაწარმოებები - "ფლორიდული ფაბლი"-კალამბურულია ისეთი ფრანგები, როგორებიცაა *Barque of phosphor an droning of the surf*; მარიანის თქმით, უკანასკნელ წლებში სტივენსი მხოლოდ ლექციებს ამზადებდა და კითხულობდა ("პარადის ბოლოს ის დაბრუნდა მუხრელ პოლიოკოს კოლეჯში, რათა კიდევ ერთხელ ესაუბრა... ", 1951 წელს, რაკავოს უნივერსიტეტში ლექციების კითხვისას მას ჯერ კიდევ აინტერესებდა ეს საკითხი)". მარიანს პარაფრაზირების მეშვეობით გადმოგვცემს სტივენსის წერილების, ლექსებისა და პროზის მიმართ და წერვლად, შიშით, ხშირად შეუსაბამოდ მოჰყავს ციტატები, ისე, თითქმის აკრძალული ჰქონდეს ამ ბიოგრაფიის წერა და სტივენსის ციტირება: "მას პაემპობიდანვე ბიბლია დასაწახკავდა კ საუღლად და ძალიან გაუხარდა, როდესაც ეს უაზრო წიგნი დაიბა", - წერს მარიანი და გაუგებარია, სტივენსის აზრებს იმონებს, საკუთარ შესუდულებს გადმოგვცემს თუ ორივე მათგანს აერთიანებს ამ მტკიცებულს ფრაზაში. გარდა ამისა, მარიანისუღმრესტში მომიფანტულია მისი - ერთგვარად, ფაშილარული - *style indirect libre*-ის დამადასტურებელი გამოთქმები: "გასაკვირი არაა, რომ.....", "დროა, რომ...", "შობადიდ დადგა და დასრულდა" და, ნარმოდიგინეთ, ძალზე "ორიგინალური": "ცხოვრება გაგრძელდა". ბერი ამზავი ასე იწყება: "მომდებლადეს", "ერთი კვირის შემდეგ", "იმ შაბათს" და "შეადღისა", რაც კეთილთვისეს ინტერესს არ აღუძრავს რადგან ფრაზები, რომლებიც ამ სიტყვებით იწყება, მხოლოდ და მხოლოდ სტივენსის წერილებიდან ამოვლევული ციტატებია. ამგვარი უფუქციო და მკავებრებული ციტატებები მხოლოდ ტექსტის სარეზუმების შესავსებადაა განკუთვნილი და ისევე ძალე ნაიმედება ჩვენი მეხსიერებიდან, როგორც ქუშმაზე გამოკვანილი ნიშნები.

საოცარია, რომ სწორედ ელისის პროფილი იყო ამოტიფრული იმდროინდელ ამერიკულ ათცენტუ-

ანდა ორმოცდაათცენტნიან მონეტებზე; მაგრამ იმე-
დი ნუ გექნებათ, რომ სიგნამი იპოვით შესაბამის
ილუსტრაციას ან უოლესის ლექსების ხელნაწერ-
თა ფოტოკოპიებს, ან მისი შემოქმედებითი მანერის
დეტალურ აღწერას, ან თხრობას სტივენსის ბან-
გრძლივი, მაგრამ არცთუ იდეალური ოჯახური ცხოვ-
რების შესახებ (წინანდლობი, რომ ცოლი და ქმა-
რი სახლის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობდა) სახ-
ლში, რომელიც სტივენსმა 1932 წელს იყიდა პარ-
ტფორდში, ან იმის შესახებ, რომ უოლესი მინ ყოფ-
ნასა კაბინეტში იკეტებოდა და წერდა, ხოლო ელ-
სი - მზარეულთან ერთად? მოაზრდითან ერთად?
- აახლს ალაგებდა, კერძებს ამზადებდა და ბაღს უე-
ლიდა. იქნებ, ელსის აგორაფობია წირდა? ან სო-
ციოპათი იყო? პათოლოგიურად სწორცხვი იყო?
რილკეს ცოლის მსგავსად, თავის პირად ცხოვრე-
ბაში არავის ახედებდა? იქნებ, თვით სტივენსი გულ-
ცივი პაროენება გახლდათ? ან სხვა ქალებთან იყო
გატაცებული? ტირანული ხასიათი ხომ არ ჰქონ-
და? მორცხვი იყო? თავისი კერძო ცხოვრებით ცხოვ-
რობდა? სტუმრებს პუუტის სახლში ან არ იღებდნენ
("მისი სტივენსის ხიბლის გეგირი გაუმგალოდნეა")
- წერდა სტივენსი - ორიონით? გაბრუნებული? სიყ-
ვარულით? გულწრფელი? და, როდესაც იღებ-
დნენ, ისინი თავიანთ ავტობიოგრაფიებს იქნურ სას-
ტუმროსთან ტოვებდნენ, სახლს გარს უვლიდნენ
და შედიოდნენ ბაღში, სადაც ელსი ზოგჯერ ისე გა-
ეფლავებდა ხოლმე, როგორც მოქცევა - ჰენრი ჯე-
მის მოთხრობაში (იგულისხმება *The Turn of the Screw*). ელსის ბათონი, სტივენსი შევიდა ნიუ-
იორკს, სადაც კოლეჯის დამთავრების შემდეგ რამ-
დენიმე წელი სილარიმში ცხოვრობდა, ნაყოფიერ-
ად მუშაობდა, მაგრამ მას მსპყავდა ხოლმე ელსი
რედიგნი (პენსილვანიის მსპყავი), სადაც ორიგინი
დაიბადნენ. ელსი სთხოვდა ქმარს, აქ დასახლებუ-
ლიყვნენ, მაგრამ ამის ნაცვლად ცოლ-ქმარი დასაბ-
ლად პარტფორდში, რაც ბრწყინვალე კომპოზიისი
გახლდათ: "მისი სტივენსი გულჯერად ამბობს
ხოლმე, რომ პარტფორდი შესანიშნავი ადგილია", -
დაწერა ერთბელ გულნატეხნა პოეტმა.


Adagia - აფორიზმების მისეულ კრებულში -
სტივენსი წერს: "ჩვენს ცხოვრებას განსაზღვრავენ
გარემომცველი ადამიანები, და არა ესა თუ ის ად-
გლი. მაგრამ მე ადგილებზე ვარ დამოკიდებული
და ეს მაშინაა". ამკარა, რომ სტივენსი ნაგულის-
ხმევს უნდა მიეღებდეთ: აფორიზმის არსი ისაა, რომ
მასში სიტყვიერი ენობა აზრობრივს ენაცვლება.
შეიძლება ვიკითხოთ, რა არის ყველა ეს "ადგილი"?
და, საერთოდ, ძალზე უცნაურია, რომ სტივენსი
"ადგილებზე დამოკიდებულებისა" და ამით გამოწ-
ველი "ნამდბის" გამო ჩივის. სამსახურებრივ საქ-
მეთა მოსაგვარებლად ის ხშირად მიეცემაგვრებოდა
დასავლეთში, დასასვენებლად კი - სამხრეთში, მო-
სამართლ პაუელთან (1920-იანი წლების შემდეგ -
არც ისე ხშირად). ხომ არ გულისხმობდა სტივენსი
კიუესტს, რომელსაც ბოლის 1940 წელს ეწვია და
იმედი გაუცრუა როგორც კუნძულის მზარდმა "ლი-
ტერატურულობამ", ისე - მისმა გარდაქმნამ სამ-
ხედრო-სახლგო ბაზზე? ხომ არ წარმოადგებოდა
პეანა, სადაც 1923 წელს, მარტში, ერთადერთი

ლამე გაატარა? ხომ არ იყო ეს "ადგილი" ელსის
ბეტ-სკერი, სადაც სტივენსი ყოველდღე დადიოდა
ხოლმე? როგორც ჩანს, მას სხვა რამ ანამდებდა და,
სავარაუდოდ, ის, რომ პოეტის გრძნობა *no se puede
vivir sin amar* - სიყვარულის ნაკლებობას. სწორედ
ესაა პასუხი ჩემს გამოთქმელ კითხვაზე.

"ნეტავ, - წერს ის 1940 წელს ლექსში "პირველი
სითონ", - "ჩინიხად ხომ არ ვიქცევი, / როდესაც რე-
ალობას კითხვებით ვცდიდი, / მე - მსოფლიოში
სებული ყველა ჩონჩხის თანამომე?"

ზოგრაფიის წერისას პოლ მარიანის წინაშე ნა-
მოქრა სტივენსის, როგორც შემოქმედის, განყე-
ნებული, "ლიტერატურული" და დისფორიული პირ-
ტრეტის დახატვის საფრთხე, რასაც მან თავი ვერ
არიდგა; გაიხსენეთ, როგორი ბრწყინვალე გერ-
ლებით და როგორი სიყვარულითა დახატული სტი-
ვენსის კოლეჯის (სადაზღვევო აგენტის) ფრანც კაფ-
კას პორტრეტი მისი პოგრაფების, რაინერ სტახი-
ნა და კლაუს ვაგენბახის მიერ, მარიანის, როგორც
ჩანს, არ სურდა ან არ შეეძლო სტივენსის ცხოვრ-
ბის სათანადოდ აღწერა, რადგან ის, რაც მის მიერ
ელმინირებულ იქნა პოეტის პოგრაფიიდან (კოე-
ზია, მუშაობა, პირად ცხოვრება, წარმომადგომლობა,
ოჯახი - რის გამოც მარიანის წიგნის კითხვისას არ-
შემდგარი ან ნახევრადშემდგარი ცხოვრების შთა-
ბეჭდილება გვჩნდება), მისი, ისევე, როგორც ნების-
მიერი ჩვენგანის ცხოვრების არას შეადგენს, ხო-
ლო სტივენსის ხასიათი - შემწყნარებლური და, იმა-
დროულად, მომთხოვნი დამოკიდებულება საკუთა-
რი თავის მიმართ, ან რეესპონსიულობა და სიფუფუნე,
საკმარის მასალას იძლეოდა საინტერესო წიგნის
დასაწერად.

"დროადადრო საამოვნებისგან თავს ეიკავებ ხოლ-
მე, რათა, უბრალოდ, შინაგანი წონასწორობა შევი-
ნარჩუნო". - დაწერა ერთბელ სტივენსმა. მას სჩე-
ოდა სიცოცხლის სიყვარული, რაც მარიანში სრუ-
ლად იყო გრძნობილი. დიახ, პოეტი გულწრფელი
იყო, შინადახედულიც ("ამ წერილის ციტირების
ან გამოყენების უფლებას არაღივს მივეცემ"), თავის-
ნათქვამს, აზირებული, მაგრამ ეს იყო მამაკაცი, რო-
მელსაც მასდერ ვნებდა ჰქონდა. ჩვენთვის ცნობი-
ლია ორი ეპიზოდი, რომლებიც ამას ადასტურებს:
კიუესტზე პეინტერისთან ნაკონკრეტებისას პო-
ეტმა რომანისტიკა ყბაზე ხელი მოიტეხა; კრის კრი-
ში, როდესაც რომანისტიკა მარჯვრი კინან როუ-
ლინგსმა სტივენსი სადილად მიიწვია, პოეტი დასა-
ვრა და ქალს "უბამსი წინადადებით მიმართა". იმას,
თუ როგორ უყვარდა სტივენსი ცხოვრების ყოველ-
გვარი გამოვლინებები, მოწმობს პოეტის ხაზგრძლი-
ვი სერონებში პენსილვანიის სოფლებში და, შემ-
დგომ პერიოდში - ნიუ-ჯერსის ბაღებში. რესტორ-
ნებში ის უკეთვდა ძვირად ღირებულ "ალიგატო-
რის მსახლს" (იმხანად ასე უწოდებდნენ ავოკადოს).
ჯეკსონვილიდან სტივენსს უგზავნიდნენ ფორთოხ-
ლებს, ხოლო ლეონარდ ვან გეიხელი (პლანტატო-
რი ჯენტილმენი), პოეტს ან უკანასკნელის თხოვ-
ნით) ამარაგებდა ცვილონზე შექმნილი ადგილობ-
რივი ნივთებით. სწორედ ეს ადგილებდა სტივენსს;
სწორედ ეს ახალისებდა. ერცელ სამადლობელ წე-
რილში ის წერს: "სასტუმრო ოთახი გამსჭვალულია



თქვენი ნობათის სურნელით"; "ყოველ დილას თქვენ მიერ გამოგზავნილ ჩაის და ლიმონის ჯეის შვედ-ცევი. ეს სურნელოვანი ჯემი არ პგავს გუაგას შინ-ნაკეთ ჯემს, თუმცა, კიდეც უფრო მეტად განსხვავ-დება გუაგას ქარხნული ნესით დამზადებული ჯე-მისგან". მეორე კორესპონდენტს ის სწერს: "დიდი მადლობა ხურმისთვის. ველური ხურმის დანახვის-თანავე შემოიღის აუტანელი გრძნობა მეუფლება. ხურმა მახსენებს ოპოსუმებსა და ჩიტებს, რომლებ-საც ჩემსავე თუყვართ ეს გემრიელი ხილი. მახსენ-დება იველითავე იპოსურის შავ-თეთრი გრაფი-ურებიც, რომლებზეც მაიმუნები ხურმას შეეცე-ვიან უფოთლო ხეებზე". ახალგაზრდა კუბელი პოე-ტის, ზოსე როდრიგეს ფეოს აზრით, მისი უფროსი მეგობარი სტივენსი ტიპურ ამერიკელს (ან, ყოველ შემთხვევაში, norteamericano-ს) არ პგავდა: "ანე-რიკელებისთვის ყველაფერი, რაც თავისთავად სა-სიამოვნოა (მაგალითად, ხეცის ან გემრიელი კერ-ძები ლეინითურთ), მიუღებელია". ფეო სტივენსს უწოდებს "პოეტ-პედონისტს", რადგან "თავის ლექ-სებში ის ხშირად საუბრობს ხილის, ფერწერის ან პეიზაჟების შესახებ, რაც ცხოვრებას სიღამაზეს ანიჭებს... სტივენსი ყოველთვის ავიტონ დადიოდა ზოლზე მაღაზიებში საუცხოო ხილის შესაძენად". სწორედ აქ და არა მოსახყენ ლექსებში შეიგრძნო-ბა სტივენსის ცხოვრება. ანალოგიურად, Adagia-ში (აღორიზებში), გვხვდება ისეთი გამოთქმები, რო-

გორბიტა: "პოეზია შეცნიერთა ხელოვნებაა", "წე-ნი ცხოვრება გონებაში მიმდინარეობს", "პოეზიის განდევნა", "ლექსი მეტეორია" ან (უფრო უცევი-სი) "ლექსი ხოხობს ნაგავს" და, ასევე: "შარტინ-კული პარფე: ყავის მუსი მასზე გადაახული რე-მით და ცოტაოდენი ნაღებო". ის ნაგავს ჭუიანჩ-ის A rebours-ის გზირ-დეკადენტს, რომელიც სპ-ყაროს შინიდან გაუსვლელად აღიქვამდა (სტევენ-სის წერილთა ინდექსი, მგონი, ყველა ევროპულ ქვე-ყანას მოიცავს). მისი ცხოვრების აღწერა ან სენა-უ-ალური უნდა ყოს, ან არ უნდა დაინეროს.

მიყვარს კატრენი ოისიუ ზროდსკის ლექსიდან "დაზუსტებული პლატონი":

Там была бы эта кофейня с недурным бланманже,
где, сказав, что зачем нам двадцатый век, если есть уже
девятнадцатый век, я бы видел, как взор коллег
надолго сосредотачивается на вилке или ноже.

სტივენსს (რომელიც 1879 წელს დაიბადა) გო-რეგნულად ვიქტორიანული თავმჯავებულობა სწე-ოდა: არ იზიდავდა სანაოსნო სპორტი, მეგობრის არ პგავდა და არც კლუბების წევრი გახლდათ, მე-რამ ოთხშაბათობით სიამოვნებით საუზმობდა პარ-ტეორიის ნაოსანთა კლუბში. "ადამიანმა დრო არ უნდა დაბარჯოს მოდერნიზმზე, რადგან გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეები არსებობს", წერდ



ის: 1880 წლის შემდეგ დაბადებულები კი მოდერ-
ნისტიზმად დაიბადნენ. (სასარგებლო იქნებოდა სტი-
ვენსის შედარება - რაც, მეორე, არავის მოსვლია
აზრად - მოდერნისტი მწერალიდან, თომას მანთან,
რომელიც 1875 წელს დაიბადა, არასოდეს ყოფილა
ბანკირი და თითქმის აგრესიულად ეკიდებოდა მწერ-
ლის, როგორც ბურჟუასა და ოჯახის უფროსის მო-
ვალეობებს. ესპერიზმენტურობა ორივე მათგანის
საყვარელი საქმიანობა გახლდათ. თავდაპირველად
ორივენი იუმორისტები ან კარიკატურისტები იყ-
ვნენ, საბოლოოდ კი შეავსეს რამდენადმე ყავილა-
სული და იმედგაცრუებული ფილო-ინტელიგენტი-
ლების რიგები). სტივენსის ფოტოსურათებზე - უმე-
ტესად სამოცი წლის ასაკში და შეძგვამ - ვხედავთ
ჩაფსკერულ, პირმსუქან, მშვიდ, თავმჯავებულ მა-
მაკაცს, რომელსაც საყვარელ და ჰალსტუხი უკეთია
და ფოლადის საყარცხლით ახლახან გადაუვარცხნია
მოკლედ შეკრჩეული ქაღალდი თმა (1900-იან წლებში
სტივენსმა თმა შუაზე გაიყო და ოსკარ უაილდს და-
ეწვავდა). როდესაც 1964 წელს ბროდსკის საბჭო-
თა კავშირში განაჩენი გამოუტანეს "სოციალური
პარაზიტუზმის" გამო, მოსამართლემ პოეტის "ხა-
ვერადის შარვალი" ასხენა; ყურები ეცქვით მე-19
საუკუნის ბოჰემურ სტილიდან ამ ჩაცმულობის ასო-
ციაციის გამო, მაგრამ ეს იყო მხოლოდ "ეფელეტის"
უხიროთ ითარგმანი.

სტივენსი (თუ გავითვალისწინებთ მის ცხოვრე-
ბას) სამოთხის ჩიტი, ჭრელი თუთიყუშ ან კეტსე-
ლი კი არ გახლდათ, არამედ - ჩვეულებრივი მჭრე-
ლი ან ინდაური. მის გვიანდელ ნაწარმოებებში არ
შეინიშნება ადრეული ქმნილებების ხიბლი, ფერე-
ბის, არომატებისა და ბეგრების, მუსიკალური საე-
რავებისა და ხილის სიუხე. ახალგაზრდა სტივენ-
სის ლექსიკა ძალზე უჩვეულოა ("Pardie!", "quotha",
"Ti-lill-o", "Tum-ti-tum, /Ti-tum-tum-tum!", "Ohoy-
aho, /Ohoo"). აქ გვხვდება არნახული პოეტური სიმ-
ბოლოები, თვალისმომჩრელი ფერებითაა დახატუ-
ლი სხვადასხვა ადგილები. "Harmonium-ზე უკეთე-
სი სამოგზაურო რეკლამები არავის შეუქმნია", -
შენიშნა რენდელ ჯარულმა; რა ტკილია მისი ბუტ-
ბუტო, ნერს ჯონს (ან ჰერნი) ბერიმენი "სიზმარე-
ულ სიმღერებში". მაგრამ სტივენსი ჩრდილოეთში
ცხოვრობდა, მაშინაც კი, როდესაც აღტაცებით წერ-
და სამხრეთის შესახებ; ფერადოვანი ლექსების
თხზავსადაც ერთად, უფროდ სექშიან წერიალებს
ადგენდა, რათა საარსებო წყარო ჰქონოდა. ოდეს-
ღაც "ნატრობდი, მეცხოვრა ქოზში სამხრეთ საფ-
რანგეთში, მაროკოში, ან თუნდაც კი-უესტში. მაგ-
რამ ვიცოდი, რომ გამანამებდა ფიერი ფულის შე-
სახებ. ყოველთვის მეშინოდა სილატაკისა. ამიტომ
გმუშაობდი, გმუშაობდი, და ასე გაგრძელდა მრავა-
ნი წლის განმავლობაში", სწერდა ის თავის გამომ-
ცემელს 1937 წელს. სტივენსი ერთგვარი ლიტერა-
ტურული ეკვივალენტია იმ მხატვრებისა, რომლე-
ბიც მხოლოდ კვირადღეობით თუ იცდიდნენ ფერ-
წერისთვის (მგავლითა, გოგენი ან სეზანი).

"რიტმული მეტყველებით განუმეორებელს ტექსტს
ბა /ლექსების შეთხზვა და ნარმოთქმა", ასეთია სტი-
ვენსის საბრძოლო ყოფიანა და დევიზი. მისი ლექსიკა
განსაცვიფრებელია, გაბედული, დახვეწილი. პოე-
ტი იყენებს ფრანგულ გასტრონომიულ ტერმინო-
ლოგიასაც. თვით გრამატიკულ ასპექტზეც კი სტი-
ვენსის პოეტური ენა უნიკალურია. მისი ესა თუ ის
ლექსი შეიძლება იყოს მედიტაციური, დიდაქტიკუ-
რი ან ფანტასტიკური, მაგრამ ის მთლიანად კითხვი-
თი ან ბრძანებითი კილოთია გადმოცემული. თვით
მუხეტუაზეც კი ექსპრესიულია. რომელ პოეტს გა-
ულიზიანებია ან დაურიგებია მკითხველი სტივენ-
სზე უკეთ? ალბათ, მხოლოდ რომელიმე გენიალურ
საბავშვო (არა მარტო საბავშვო) მწერალს:

"წყნარ ბრტყლად, აცქანელ იფუჟან, / შენ,
ნითლად რომ შევიღებია მკერდი, მჭერდი".
სტივენსის ადრეული ლექსები შეუდარებლად
ფაქიზი და დახვეწილია. აი მისი საკუთარი მეტა-
ფორა: "ქნოვს ჩემი წიგნი გადავციე. კონტრაქტს
ხელი მოვანერე. ბევრი ლექსი ამოვიღე - ძლივს გა-
ვუმკლავდი ამ უსუსურ არსებებს. დიდად დახელო-
ვნებული უნდა იყო, რათა ნაყარ-ნუყარიდან ხრამე-
ნა სალაოთი გამოარჩიო". ეს სტივენსის პოზიციანა
დახელოვნებული უნდა იყო, რათა გაუმკლავდე უსუ-
სურ არსებებს.

შეიძლება ითქვას, რომ სტივენსი კოლუმბიელი
გაბრიელ გარსია მარკესის ფლორიდული თრუღლია:
მდიდარი ლათინურული ლექსიკა, მოქნილი კონ-
სტრუქციები, ორიგინალური შესაძებები, მდიდარი
ნარმოთქმები; ერთის პროტაგონისტები არიან აურე-
ლიანო და ხოსე არკადიო, მეორის პოეზიაში თანა-
მოსაუბრეები გახლავან რამონ ფერნანდესი და ფერ-
ნანდო. ზოგჯერ მათ სულ რამდენიმე მილის მანძი-
ლზე ავიღებდა ერთმანეთისგან. ერთი მათგანი არა-
კატაკამი დაიბადა, მეორე - რედინგში, მაგრამ დრო-
დადრო ორივენი სტუმრობდნენ კი-უესტს, სადაც
ზინოკლით შეიარაღებულ ახალგაზრდა ფლოზანტ
ბიშოპს შეეძლო ეთვალთვალა მათთვის. მარკესსაც
და სტივენსსაც არ უყვარდათ ჩრდილოეთი, სადაც,
სტივენსის თქმით, "გაზაფხულამდე დემურებას თავს
ვერ აღწევ" და "თ საათზე უკვე იმედგაცრუება გე-
უფლება"; სადაც "რაციონალისტები იხურავენ კვად-
რატულ ქუდებს / და კვადრატულ ოთახებში ფიქ-
რობენ"; /უყურებო იატაკს; / გამყურებდ ცას"; სა-
დაც "ადამიანი ავადა, ავად. ადამიანი აქ თავს შე-
უძლიოდ გძმობს". სტივენსი ამჯობინებდა დაწე-
რა (მხოლოდ სათაურებს ვგულისხმობ): "ჰიმნი სა-
ზამთრობის პავილიონს", "რევოლუციონერების შე-
ჩერება ორანფადის დასაღებად", "ყვავილებით მორ-
თული ბანანები", "სად ვეცდით ღრუბლები", "ფირ-
ნელი ბრინჯაოსფერი ბასრი ბრჭყალები". მოუხე-
დავად ამისა, მას არ ახასიათებდა ბოზოქარი ტემპე-
რამენტი; ის არ შვავდა უიტმენს ან შილერს, რომ-
ლებიც მზად იყვნენ, მილიონობით ადამიანი ჩაეკ-
რათ გულში; სტივენსი თავმჯავებული, ზომიერი
რესპუბლიკელი გახლდათ (მარტანი მას "ამერიკელ

1. გვატემალის ულამაზესი ფრინველი, რომელიც გვატემალის ტყეებში ზინდარობს და ამჟამად თითქმის
გადაშენებულია.

ესენაფობს" და "ტიპურ ანტისემიტს" უწოდებს, თუმცა, ლექსებში ამგვარი განწყობილებები არ გამოტყვევია. ამიტომ შეიძლება წარმოვიდგინოთ სტივენსი არა მარტო ფლორიდული სიგარებით და სასამელოში ჩასასწრავად მომზადებული "დიდი, დიდი ლიმონებით", არამედ შეილიმილიებით გარემოცული გრძელწვერიანი პატარა რაისი სახითაც. ის, როგორც პოეტი, ხომ არა მარტო შეერთებული შტატების, არამედ ამერიკის ორივე კონტინენტის წარმომადგენელი იყო. ამასთან, სტივენსს შეიძლება ჰქონოდა მესხლენიანი პოლანდიელის ტიპური ხასიათი - გულწაფილი, უკარება, პირქუში", მაგრამ მისი გელური, სიყვარულით უზავად გაჯერებული ნაწარმოები სამყარო პოეტს სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგენს.

ადრეულ მოკლე ლექსებში მძაფრი გრძნობები იჩენს თავს. ასეთია, მაგალითად, არაწვეულწერით გადწერილი და აზრობრივად გამჭვირვალე მშვენიერი ლექსი "ჩაი", რომლის მკვლევარს წარმოუქმნის "სონანტისა და "ე" ხმოვნის განმეორება (მესაძლოა, იგულისხმებოდა "ელსა"):

*When the elephant's-ear in the park
Shrilled in frost,
And the leaves on the paths
Ran like rats,
Your lamp-light fell
On shining pillows,
Of sea-shades and sky-shades,
Like umbrellas in Java.*

როდესაც სპილოს ყური პარკში
ყინვისგან დანაოჭდა,
და ფოთლები მილიკებზე
თავგებივით გაიქცა-გამოიქცნენ,
შენი ნათურის შუქი დაეცა
ზღვის წრდილებისა და ცის წრდილების
კრიალა პალიშებს,
როგორც კოლგები იავაზე.

აქ, მარიანის ოქმით, ყოველი სტრიქონი გვახსენებს ჩაის სურნელს, ზამთარს, ადრე ჩამოსწორებულ ბინდას, ბუდეარის ნახ ხიბლს (ნათურის შუქი მაღალიმსია, ბალიშები - დედაქრუსის), საღვთო სხვა-გან ყოფნის სურვილს, ხოლო თემა ნახსენები არაა (როგორც ეს სიმბოლისტიკებს სჩვეოდათ) და მისი დასახელება თითქმის ჯერჯერობით გადაადებულია, რაც იშვიათია ინგლისურში (სიტყვა "იავა" ყაბაზე მიგვანიშნებს და ლექსის თემას კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის, მიუხედავად იმისა, რომ ის სათაურშია მოხსენიებული). ასეთივეა კრისპინის ქალიშვილების აღწერა გრძელ ლექსში "კომედიანტი როგორც ასო "C":

თავდაპირველად კრისპინმა გაუღიმა
თავის ოქროსფერ ქალიშვილს, რომელიც
თითქმის ბერ-მონაზონთა ქვეყნის მკვიდრი იყო,
ისე შეეფარა სახე კედლისგან, ისეთი სათნო
გამოხედავს მკონდას,
თითქმის თავის სულში აფლერებულ დედალისა და
განსაკუთრებულ ხმას უსმენდა. მეროც,

პირველს კვლავაქვალ რომ შეთქმვა,
დის ასლი იყო სწორედ. ჯერ კიდევ ემინა

თითქმის,
მხოლოდ დედის ფეხის ხმაზე ეცდებოდა
და უკერდა, რომ ძალი უფროსებოდა.
მესამე თმა ოქროსფერად უზინავდა,
და მხნეოდ მოგვამანდა
ხოლო მეოთხე, სამშვენიების მოკერაული,
ხმაურიათ, ფუნათმა და ვარდისფერლოცება იყო.

კრისპინი დაკვირვებული და მზრუნველი მამაა მასზე საუბრისას სტივენსი იყენებს არა ყალბ ეპიკურ სტილს, მისთვის დამახასიათებელი მახილური დიდიერებითა და ბრონიით - ესე იგი, მიუხედავად ღრადიციისა და პოუპის ტრადიციისა, არამედ გვიანდელი შექსპირის ხალისიანსა და გულითად ეპიკოს. სტივენსმა, აგრეთვე, შეიმუშავა დიდი პროლიფერაციული სტილი, რომელიც მარტივულ ბგერით სტრუქტურებსა და გრამატიკულ ოპოზიციებს ტექსტის გრძელა და რეგულარულად მონაცვლე მონაკვეთებში ანაწილებს. ამ ვხით შესაძლებელი ხდება თეორი ლექსის მონსტრიკება, დასალოებით ისე, როგორც თვითმფრინავის სტიუარდი აწინააღმდეგავს სალონში და, შედეგად, ნესტიგის აყვარებს. ამ სტილს შეიძლება სამოლოდოს ტარტიორი ეწოდოს. მისი ადრეული (1918 წლი) ნიმუშია 138-სტრიქონიანი "ბიპტაგმის მონოკლი" ("Le Monocle de mon oncle"):

*This trivial trope reveals a way of truth.
Our bloom is gone. We are the fruit thereof.
Two golden gourds distended on our vines,
We hang like warty squashes, streaked and rayed,
Into the autumn weather, splashed with frost,
Distorted by hale fatness, turned grotesque.
The laughing sky will see the two of us
Washed into rinds by rotting winter rains.*
ეს ტროპი ააშკარავებს ჭეშმარიტ ვითარებას:
ჩვენი ყვავილობის დრო დასრულდა.

მამასადამე, ახლა მილი ვარო,
ჩვენ (ორი ყვითელი მეჭეჭებიანი გოგრა)
და დავეკიდეთ - ძარღვიანი და სხივიანი.
შემოდგომაზე, სიცივეში
დაგვიქნა მსუქანი თევზები და დაგვასხივდით.
ჩვენი დანახვისას ცას გავცინებთ,
ზამთრის წყომები კი დაგვალპობს.

რადღეწ სახამაენოა ეს სარდონიული და მდიდარი ლექსიკა, ეს შექსპირული სიტამაღ და მრავალფეროვანი. ანტრეპეკიითა გაცოცხლებს სტივენსისაღი ხერხი (მაგალითად, "ტროპი" მოყვანილ ნაწყვეტში) და სახელთა შესვლილთა: "მარილიანი წყალი და შუილი" ("brine and bellowing"), "ზღვის მაღალი მიგავლობა" ("the high interiors of the sea"), "კომპასი და გეგმა" ("the compass and curriculum"), "ინტროსპექტული დევილიები" ("introspective exiles") თითქმის პარადიული ვერტუოზულობით გამოირჩევა.

დროთა განმავლობაში სტივენსის ლექსები სულ

უფრო მედერი ხდება და ისე ციმციმებს, როგორც ჯარისკაცთა სირმები - აღღრმე, ზოგჯერ კი მაღალფარდოვანიცაა:

დას, დედას და სიყვარულის ნინასწარმეტყველს,
და ყველაზე საყვარელ დას,
ყველაზე ახლოს, ყველაზე წმინდასა და
მომხიბვლელს,
და სურნელოვან დედათაგან ყველაზე ძვირფასს,
დედოფალს და სიყვარულის ნინასწარმეტყველს
უყვართ დღე,
ალი, ზაფხული და ტკბილი ცეცხლი....

ეს უკვე შეესაბამება კილო აღარაა. მოდერნიზმისთვის შესაბამისი სურვილებსა და მხიბვლების კომბინირებისას ნებისმიერი მუხანის პოეტი, და, რა თქმა უნდა, ამერიკელი პოეტი, სულ უფრო მეტს გვეუბნება ხოლმე სულ უფრო მკაცრის შესახებ. სტივენსი, რომელიც უნდა აცხადებდა, რომ "რეალობა ძირითადი თემაა" და "პოეტი ფილოსოფოსიც უნდა იყოს", ახლა ახალი დევიზებით ხელმძღვანელობს: "ლექსი - გონებრივი აქტია" და "აუცილებელია განყენება". გაეისხნოთ იმპერატიული სტრიქონები ლექსიდან "ლირიკული გადახვევები პოზიტივ": "პროლოგები დასრულდა; ახლა წამოიჭრება საკითხი/საბოლოო რწმენის შესახებ. შოდა, ვაღიაროთ, რომ საბოლოოდ უნდა ვინამოთ / მბატკრეული ლიტერატურა. დადგა არწევანის დრო".

სტივენსის დასახასიათებლად შემოგვთავაზებთ გულწრფელ აღიარებას, მოგონებას და ლექსს. აი, რას აღიარებდა თვით სტივენსი: "მიყვარს რაინის ღვინო, შავი ყურძენი, კარგი ყველი, მწვანე სალაითი და ბევრი წიგნი... რადგანაც მიყვარს კარგი ლიტერატურა". რაც შეეხება მოგონებას, მარიანი, მისთვის ჩვეული უფერული, უპირობო კიდოთი გვიამბობს:

"ერთ შაბათ საღამოს, როდესაც კარლ ვან ვესტენი უკვე ამირებდა თავისი ოფისის დაკეტვას და შინ წასვლას, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. ვან ვესტენმა კარი გააღო და დაინახა მალაღობი ქაბუკი, რო-

მელმაც მოკრძალებით გაუნოდა ქალაქის ნაგლეჯი და რაღაც ნაიბურტყუნა. შემდეგ ის მიტრიალდა და დერეფანში გაუჩინარდა. ეს ქაბუკი სტივენსი იყო. ქალაქის ნაგლეჯზე წერილი ასოებით ეწერა მისი ორი მოკლე ლექსი. ვან ვესტენმა ისინი ორი კვირის შემდეგ გამოაქვეყნა". ჩემი აზრით, ეს ეპიზოდი გულისამაჩუყებელია: მალაღობი, მოტყევი ქაბუკი, მოკლე ლექსები, წერილი ხელწერა.

ბოლოს უნდა შეგახსენოთ სტივენსის გვიანდელი ლექსი "პლანეტა მაგიაზე". ხანდაზმული პოეტის ამ სტრიქონებში ღრმა სევდა იგრძნობა. მათი კილო იმპერატიული კი აღარაა, არამედ - სადა და პეროიკული:

არიელს მოსწონდა მის მიერ შეთხზული ლექსები, რომლებშიც აღწერილი იყო წარსული და ყველაფერი, რაც მას უყვარდა.

მზის სხვა მფილები
უფარგისნი იყვნენ
და კოჭრანი კუნძი გაიღუნა.

არიელის გონება და მზე ერთმანეთს შეერწყნენ და მისი ლექსები, თუმცა კი მისივე გონების ნაყოფი იყო,

მზის ნაღვანიც გახლდათ.

მნიშვნელობა არ უქონდა იმას, რომ ლექსები გადარჩა და რომ მათში აღიბეჭდა ნიშან-თვისებები და ხასიათი,

და რომ ის გვაგრძნობინებს, უბადრუკი სიტყვების მიუხედავად, სიმდიდრეს პლანეტისა, რომლის ნაწილებადაც ისინი იქცნენ.

პროსპერო კი დაზღვევის სფეროში მუშაობდა.

© The London Review of Books, 2016

Shut
Above the
water hangs the
loot
There
Here
Gone
gray
then
When
A pale signal still appears
When
Scorn before its shadow fades
Where
Now is the pool of opened sky
in us
No longer us as at the very edge
of where we take shape in the dark air
this object bares its image unrelenting
rises of recognition that will
break darkness up into light
even after this lot this hour but still by atop the perfect and measure one
already passing out of sight
toward yet-unrecovered reflection
this image bears its subject darkening
into nothingness as a scarred tale of
light
The of water too something across
water
Breaking up the being unrelenting
soon
Yet by then a swim will have
gone
You out of mind into what
vast
good
hush
or a
place
past
audible dark as
if a swim
along

თამარ სუხიშვილი

ჩანაწერები ისტორიისათვის



ომინდე (იოანე) კორძია,
სვანური აზგაპი
(1920-1960-იანი წლები).
თბ. ლიტერატურის მუზეუმი, 2016.

„კაცის ღმერთი კაციაო“, - ასე ამბობენ თურმე სვანეთში, - და ასე იხსენებს ამ პატარა სვანის ავტორიც ერთი ავბედიანი ღამის ამბავს, ღმერთად მოვლენილმა უცნობმა სიკვდილს რომ გადაარჩინა: „მე ნამდვილ ღმერთად მომვლენა ის კაციაო“, - ჩაუხერია უბის ნიგნაკში შინ მშვიდობით დაბრუნებულ წვირმის მკვიდრს - „ომინდე (იოანე) კორძიას.

გავა დრო და ამ ჩანაწერის ავტორზეც იმავეს იტყვიან, გაუცხოების ყინვასა და დიდუფლობაში მთაში ჩარჩენილ საკენელებს სამშვიდობოს რომ გამოიყვანას, დალოცავს, „გადამარჩინებ, ჩემი ღმერთი ხარო“, - ემაფლიერება ერთ-ერთი გადარჩენილი. ომინდე მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ქებას არ იმჩნევს, მაგრამ გული ზემო სიამაყით ევსება. „ახეთი პახელიანი იყავი ყოველთვისო“, - შეაქებს უფროსი შიდა, რომელიც სრულიად მშენებელი გაიგებს ძირსულის სიამაყის ამბავს. უბის ნიგნაკში

ყველაფერს დაწვრილებით ჩაინიშნავს და იქვე ყმანულური გულწრფელობით აღიარებს: „ეს ჩემთვის უდიდესი ჯილდო იყოო“. მაშინ არც კი უფიქრია, მის ჩანაწერებს ოდესმე ვინმე თუ წაიკითხავდა.

სულ თან დაატარებდა ამ უბის წიგნაკს, იწერდა ყველაფერს, რაც საჭიროდ მიაჩნდა, ზოგს - თავისას, ზოგს - სხვისას, ზოგს - მოსალოდნელად, ზოგს კი უბრალოდ იმიტომ, რომ უცნაურად ეჩვენებოდა („უცნაური რამ იყო და ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, დამეწერა“). ასე გრძელდებოდა უბის წიგნაკი ამბები: თავს გადახდენილიცა და სხვინგან გაკონილიც, თავშესაქცევიცა და ტყვილიანიც, ჭირისა და ღვინის ამბები: გროვდებოდა ამბები ადამიანებზე, ამბები, სადაც კაცის ღმერთი კაცია, და ის ამბებიც, სადაც კაცს კაცისთვის უბედურება მოაქვს. როგორც ერთ სვანურ ანდაზაშია: ადამიანი ადამიანისათვის ტყვილიც არის და ნამალიცო. ამ ადამიანური ტყვილისა და ამ ტყვილის ნამლობის გეზზე გეითხელობს დღემდე.

ქუთუმელი კაცი ყოფილა. ოჯახში არავის სცოდნია, დღორებს რომ წერდა. წერდა თავისთვის, უშუალოდ, გულწრფელად და შეუღამაზებლად. მისი გარდაცვალების შემდეგ (ომინდე (იოანე) კორძია 1986 წელს გარდაიცვალა) ოჯახის წევრებმა შენობისგან იშორეს უჯრადი დერმატინისყდიანი ფელი გატყვევითა რეკლები, სადაც აღმოჩნდა დღორები სვანურ ენაზე (ბალსზეროურ დიდიდებზე, ნაწილი - მხედრულით, ნაწილი კი - ზუტყური ანბანით ჩაწერილი.

მხედრულის სწავლა სკოლაში მოასწრო, მოასწრო იმიტომ, რომ სასწავლებელში ძალიან ცოტა ხანს უგლია, ცუდ დროში მომინა ცხოვრებაო, - წერს. იფარის თემაში, სოფელ წვარშიში დაბადებულია: „ადრე დავობდები. დედაჩემი ისპანკამ მოკლა მე მაშინ ექვსი წლისა გუფილევარ. ცუდი დრო ყოფილა. სასტიკი ჭირიანობა ბალახივით ცვალავდა თურმე ზღას. მიცვალბულის გამსვენებული არ ყოფილა სოფელში. სოფლის მცხოვრებთა ნაწილი ტყესა და მთაში ყოფილა გაჩხნული“ („უფსპარელების გვლესა“).

ხალხური ზღაპრის საუფეგითი იკითხება მისი ყრმობის ამბავი. სკოლაში რომ შეუყვანილი, დედნაცვალს დაუჩემებია, სწავლაში დროს ნუ დავაჯრევირებთ, კარგი მუშაობა იყოს და ოჯახს გამოადგებო. არ დაუხანებიათ და სკოლიდან გამოუყვანილი. არადა, ძალიან მოწადინებული გამოადგე ყოფილა...

მაგრამ გადის ხანი და, როგორც ჯადოსნურ ზღაპარშია ხოლმე, სასწაული ხდება: ბავშვი ოჯახის ეკლესიაში შედის და ორ დიდ ზანდუქს გადაანწყლება, სიგნებით სახეს ზანდუქებს, საღმრთო შეკრულებასა და ბოქლომდადებულებს. ბოქლომების გასაღებს მაშა ინახავდა, რანდენჯერმე ზუზმა გახსნაც უცდია, მაგრამ ვერ მორევია. ეტყობა უ-

და დამდგარიყო შესაფერისი დრო, როცა ზანდუკებში დამალული საიდუმლო დღის სინათლეს იხილავდა. მაგრამ როდესაც კარგა ხნის შემდეგ მამამ ზანდუკში შენახული წიგნები გამოფინა, აღმოჩნდა, რომ ეს ჯერ კიდევ არ იყო საიდუმლოს გასაღები, რადგან წიგნები ასე იყო დაფარული, რომ ვერაფერი წაიკითხავდი“. ეს ნუსხა-ხუცურით დაწერილი წიგნები იყო, სახელგანთი ნიშანბანი - არქიმანდრიტ თეოფანეს (ბუბა თეოფანეს, - ასე იხსენიებს მას ავტორი) ნაქონი (აშუა) სვანურად „ბიძას“ ნიშნავს).

სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ნუსხა-ხუცურის შესწავლა. თუმცა იმ დროს ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. სვანეთში ორი მღვდელი ეგულებოდა, რომლებმაც ხუცური იცოდნენ, მაგრამ იმ დროში მღვდლებს მთავრობას ისე ექმნებოდა, რომ ეკლესიას სათაფლიზეც არ ეკარგებოდნენ. ამიტომ ვერც კი მოიხელთა ისინი და გადაწყვიტა ისევე თვითონ ესწავლა ხუცური ანბანი. „ეს შეეძლო“, - სიამაყით წერს დღიურში და იქვე გვიხსნის, თუ როგორ მიახერხა სხვის დაუხმარებლად ანბანის სწავლა: „ბუბა თეოფანეს მიერ დატოვებულ ბევრ ქაღალდში ერთი ფურცელი, სადაც ხუცური ასოებით ეწერა - წიგრმის მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესიის მოძღვარი არქიმანდრიტი თეოფანე. ამ ფურცელზე წიგრით მიწებებული ჰქონდა მფორე ფურცელი, რომელზეც ჩვეულებრივად ასოებით ეწერა იგივე. ჯერ იმ ასოებით კითხვა და წერა ვისწავლე, რაც ბუბას მიერ დატოვებულ ფურცელზე ეწერა. მერე ჩემით ვიკონებდი იმ სიტყვებს, რომელთა დაწერაც შეიძლებოდა ამ ასოებით. წიგნში ზოგიერთი სიტყვა ისეთი ეწერა, რომ თითქმის მთლიანად ამ ასოებისაგან შედგებოდა. განსხვავებული იყო ორი, ამ სამი ასო. ასეთ ასოს ჩე ჩემით ვუმტკიცებ და გამომდიანდა სიტყვა. ვიმახსოვრებდი ამ ასოსაც და ასე ვისწავლე ხუცური წერა-კითხვა“ („ფესმარლების ეკლესია“). ეს ამბები შამშოლონის მიერ როზეტას ქვის ორენოვანი წარწერის ამოკითხვას შავს.

მე-20 საუკუნის დასასრულის მოვლენა - არქიმანდრიტი თეოფანეს, სვანური გრამატიკის - „ლუმენი ანბანის“ ერთ-ერთი თანაავტორის, სახელს ჩაიკეთებულ გვებებით ომიდან (ოიანე) კორძაია ჩანაწერებში. არქიმანდრიტი თეოფანე ორმოცი წლის განმავლობაში სოფელ სვირმის მაცხოვრის სამრევლო ეკლესიის მოძღვარი ყოფილა, მერე კი ახალი ეკლესიის მშენებლობა წამოუწყია („დაუსახლებელ ადგილას ააშენა ეკლესია, რომელსაც სვანები ფებს ეძახიან“) და 1900 წლიდან თავის ამგებულ ეკლესიაში მუშაობდა. ამ ეკლესიის აგების ისტორიის შესახებ უფრო დანერგულებით კომენტარებში ვკითხულობთ, როგორ შეურჩევია ეკლესიის ასაშენებლად ადგილი ებისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს, როგორ დააბროვეტეს ეკლესია და ა.შ. სვანეთში ერთ მთას დასვას „თეოფანეს მთას“ და „ბუბა თეოფანეს მთას“ ეძახიან.

გავიდა დრო და ომიდან კორძაია ნინაძის გზას დაადგა: მღვდლად ეკურთხა. ალბათ ზანდუკების მისტიკა ერთი ამ ყველაფერში. მისი მღვდლად კურთხევა სრულიად მოულოდნელად მომხდარა. საპატრიარქოში იმისათვის მისულა, რომ ეთქვა,

თეოფანეს მიერ აგებული ეკლესიაში წიგნები დამალულია და გადასურება სჭირდებაო. ნაცნობ მღვდელს პატრიარქთან შეუყვანია. სწორედ პატრიარქთან - ილია II-სთან შეხვედრის ეპიზოდს იგონებს ერთ-ერთი ჩანაწერი - „ფესმარლების ეკლესია“. მე პატრიარქი ნახული არ მაყავდა. რატომღაც მეგონა, რომ ძალიან მოხუცი უნდა ყოფილიყო, გრძელი თეთრი წვერით. აღმოჩნდა სრულიად ახალგაზრდა კაცი. ჭილარა მარტო ახლად შერეული ჰქონდა. ძალიან ჭკვიანი და კრიალ თვალები ჰქონდა. როცა რამეს შეკითხებოდნენ, ჯერ მე შემხედვავდა, მერე წინ გაიხედვავდა და ასე ამთავრებდა შეკითხვას. როცა მე პასხვს ვეცმდი, მაშინ ძალიან დაკვირვებით მიყურებდა და ყურადღებით მისმენდა. როცა შეატყო ჩემს ლაპარაკს, რომ მართლა შემტკიოდა გული ეკლესიაზე, მღვდლად მაკურთხა. თავისი ხელით ჩამაცვა ანაფორა. უფრო ბედნიერი დღე არ მქონია ჩემს სიცოცხლეში...“ ეს იყო 1979 წელს. 67 წლის ასაკში ომიდან კორძაია მამა იოანე გახდა.

ამ პერიოდთან დაკავშირებული წყვეტა კიდევ მისი ჩანაწერიც. „ახლა უკვე მღვდელი ვარო“, - ამბობს კრებულში შესულ ბოლო მოვლენებში - „ჭვიბერში“, სადაც საერო ცხოვრების ერთ ეპიზოდს იხსენებს, ერთი კაცის სიკეთის ამბავს, და თავის სიკეთებს ამ ეკთილი კაცის ოჯახისა და მოდგმა-მთამომავლობის დალოცვით ამთავრებს. ჩანაწერებიც ისე მთავრდება, როგორც ზღაპარი: ჭირი იქა, ლხინი აქა...

მანამდე კი ჭირის ამბავიც ბევრია და ლხინიც. სულ მართალი ამბებია, მძიმე წლების ამბები, ძირითადად მამაკაცებზე. მკითხველის თვალწინ კადრებივით გაიფენება მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის სვანეთი, დიდი გაჭირვების წლები, ომადე და ომის შემდეგ, მძიმე შრომა, ზრუნვა კერის გადასარჩენად, რომ „ოჯახი არ გადახრდიოყი“, ზეავი, მესწერი, უგზოობა და გაყინული ქალამნები, გზის მშენებლობა, ფატრეკიანი ოქროს მაძიებლები, „ლესპრომხოზის“ ისტორიები, დიდი ოჯახების გაყრა და სვანები ნასახლება ყარჩაბი (ყარაბი), ხატზე დაფიცება, ბალსზუმოვლთა და ბალსქვემოელთა ქიშპობა და შურისძიება, სვანური ზარი და სვანური ფერხულეო...

ავტორი საინტერესო ბიოგრაფიის კაცია. თითქმის ყველგან მოუწია მუშაობა, ყველა იმ სამუშაოზე სცადა ბედი (სატყეო მუშრონობა, ოქროს წარმოება, გზის მშენებლობა...), სადაც საუკუნის დასაწყისში სვანეთის მკვიდრი მუშაობდნენ. ის მარტო თვითმხილველი კი არა, მონაწილეცაა კრებულში თავმოყრილი ისტორიებისა: როგორ დადიოდნენ სეზონურ სამუშაოებზე, სვანები „სამუშაოზე წასვლა“ რომ ეძახდნენ, როგორ ატყუებდნენ სვანებს სატყეო მუშრონობა „ლესპრომხოზი“, როგორ უცურდებოდნენ სვანური ქალამნები სველ ბალსას და ხაგსზე და როგორ ნაჭრულობდნენ „რაზბოჩი ჩეჟმებს“, რა ხდებოდა ოქროს წარმოებაში, როგორ ეძებდნენ ნეკურში ოქროს, და როგორ შენდებოდა მესტა-ზუგდიდის გზა, რომლის მშენებლობაზეც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ და რომელსაც დიდი იმედით უყურებდნენ სვანები; სჯეროდათ, რომ ეს გზა „სვან კაცს ყოფას დაუბ-

რუნებდა": „ემუშაობდი თითქმის ყველგან: ხუნერში, ბარჩაშში, თოთხაშში, ნოღადაშში, ლაშაში, ეცენში, ლაბაშში და ლენჯერში“. ეკონომულობით ჩანანერებში, - ბევრი სიცოცხე, შიმშილი და გაჭირვება გადაიტანა ამ გზის მშენებლობაში მიზანმიმართულად, მათ შორის მეც. ეს მოხატულად არის აღვლილი, თორემ გაეცუბების დროს რაღაც ისეთ სიძნელეებს და დაბრკოლებებს ეწყვედებოდათ, რომ კარგად მოყოლილიც ზღაპარი ეგონება კაცს“ („გზის მშენებლობა“).

დღიურის თხრობის სტილი არაერთგვაროვანია, ზოგჯერ - ხალაღობი და სახუმარო, ზოგჯერ - დაძაბულობით დაშუბტული, მაგრამ ყოველთვის - სა- და და უბრალო, რაც კიდევ უფრო იზიდავს მკითხველს, რომელიც ცდილობს, ზუსტად ჩასწავდეს მთხრობელის ინტონაციებს, გაიზიაროს მისი სევ- და თუ სიხარული. დოკუმენტური პროზის დანიშ- ნულობაც ზომ ესაა, წარატყვის მიღმა დაფარული სათქმელი რომ ამოვიკეთათ.

ნოემბერი 17 მოგონებაა შესული.

„კოკინა“ - ამ სახუმარო ამბით იწყება კრებუ- ლი „საქარური ამბები“. კოკინა ავტორის თეორიკოს რქმევია, ლაშაზა და ავსნიას. გაიღწილი იყო, მაგრამ პატრონის გარდა ზურგზე არავის იხედავ- ავტორი სიკვდილს არეგო ტონით დაუნერვებით გვიყ- ვება, როგორ მოაგვინა ჯორმა პატრონს საზა- დელი, თუმცა ამასობაში კიბაღამ დიდ ხიფათს გა- დადკიდა პატრონიცა და სხვებიც. ამ ყველაფერს ავტორი ისე ცოცხლად გვჩვენებს, რომ მკითხველს მაშინვე თვალწინ წარმოუდგება კოკინა - როგორ მიიხრეპს ყურებდაცქვეტილი და კბილებდაკრეჭილი თეთრი ჯორი დასაკებინად საქონლისკენ და ზოგ- ჯერ - ადამიანებისკენაც.

ამ ხალისიან მოგონებას ნამდვილი დრამა ენაც- ვლება. „სვანეთი ასე მიჩინვენ: ცუდად თუ გააკე- თეს, ის შინაც გაგიდევნება და უკანაც დაგიბრ- ნებო. როდეს მოხდა ეს ამბავი, მე არ მახსოვს, მაგ- რამ მახსოვს და ჩემს თავზეც ვინვინი ის, რაც ამ საქმეს მოჰყვა. მოუფიქრებელმა საქციელმა ორი გამოუცდელი კაცისა, ლამის საშუალოდ გადაჰკი- და ერთმანეთს ბალსტეგოური და ბალსზემოური სვანეთი“ - ასე იწყება ჩანაწერი „მკვლელობა ურ- ბი ზოად“ და მკითხველს შესაძლებელი იქნება ავის- მომასწავებელი წინათვრისობა. ეს ამბავი მუყაბირ- თა და მუჭაბირთა (ბალსზემოელთა და ბალსტეგო- ელთა) ქიშპობაზე მოგვითხრობს, მაგრამ ეს არაა თურალო ქიშპობის ამბავი. ეს არის ამბავი იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთმა ვითომდა პატარა ად- მინარემა სისუსტემ ადამიანი ურჩხულად აქციოს და დიდი ტრავმადი დაატოროს.

ბალსზემოურელმა გ-მ ბალსტეგოურ სვანეთ- ში ტყეები ჩაიტანა გასაყიდად. ეს ნაბიჯი მასთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მასპინძლის ოჯახიდან ორი ძმა დაედევნა, ტყეში დაიმარტოხლეს და მუ- ხანათაოდ მოკლეს. საკუთარი ცოდვა გაპაპრთლეს კიდევ: „მუჭაბირის მოკვლას არაფერი მოჰყავდა“.

ამის შემდეგ იწყება უზო-უკულოდ დაკარგუ- ლი გ-ს ძებნის ისტორია, დიდხანს ეძებენ ოჯახი და თანასოფლელები და ბოლოს უდრან ტყეში უმატ- რონოდ დაგდებულს იპოვიან. სტრაქონებს შორის

ისმის ის დიდი სვანური ზარი, რომელიც კრებუ- ლს მიცვალებულს. და ავტორით წინათვრისობაც წნდება: მთას თავისი წესები აქვს და მიცვალებუ- ლის დაკრძალული ტრაგედია არ დასრულებდა. არ- ცა სულის საქმეს მორჩნენ, მოიყარა თავი მოკლუ- ლის გვამმა, ასულ-ბაღიმებმა, ახლო და გოგო ნა- თესვებმა და დაიწყეს ზვობა იმის შესახებ, თუ რო- გორ იძიონ ძეგრი. მოკლულის საგვარეულო სვანეთ- ში განთქმული იყო როგორც კარგად შეკრული გვა- რი, ერთმანეთის ჯინსი დაშქერი. ყოველთვის მკე- დით ძალიან კარგი ეტაქციები ხაზიდლო ყველა საე- მში.


თემში დიდი ბჭობა იწყება, თუ როგორი უნდა იყოს შურისძიება. ახალგაზრდები უფრო სასტიკი და დაუნდობლები არიან. ბოლო სიტყვას გვარის უფროსი ამბობს - გვარის მამებში. ის შეკრებულ გონიერებისკენ მოუწოდებს, რომ უდასამართლო სისხლი არ დაიღვაროს: „ღმერთმა დაგვიფაროს, უდასამართლო ვინმე არ შემოგვაკედესო“.

მკითხველი შემოთავებულია. მაღლვარება თან- დთანობით ნაჭულდება. თემი დიდი შურისძიების- თვის ემზადება. სისხლის აღლებებს ირჩევენ - ბო- მაგარ ეტაქცეს. შურისძიება კარგად დაეგმილია: „დაიწყეს იარაღის შექმნა ზრუნვა. მალე მოიგა- ნავედნენ დასაყვებით, მთლიანად ტყით იარცხ და მიაღწეს ლაბსყალამდე. აქ საკულდავლოდ და- მალნენ, ორმა ქალის ტანისამოსი ჩაივცა და მართლ- იმ სათიბის სათავეთან, სადაც ორი კაცი მინდურს თიბავდა. მათი აზრით, ისინი უნდა ყოფილიყვნენ მკვლელები. ეკითხებოდნენ ყველა გამგებელ- გა- მომგებელს, ვინ არიან ეს მათბავები, სახელუბა- გიცავს და როგო დარწმუნდნენ, რომ ნამდვილად ისინი იყვნენ...“

დაძაბულობა კულმინაციას აღწევს. შურისმა- მიგებელი გარემოს ათვალერებენ, არჩევენ იმ ად- გილს, სადაც მკვლელებს უნდა ჩაუსაფრდნენ. შუ- რისძიებელი ტყეის გასროლის წინ ილოცვიან: „წულბას მთავარანგელოზო, დიდება შენ, თუ ჩვენ- გან ამბო მოკვლა ეცუთხოვოდ, მოახდებე ჩემი ნასროლი ტყეა, თუ არადა - ააქცინე“. ტყის შო- ალში ზედისწერასავით გაიხმის შურისმაძიებელი- ლოცვის ხმა.

დიდი შურისთება ფინალი არ არის. ამის შე- დევ აბალი მორალური ტრაგედია იწყება. ეს ტრა- გედია რაღაცით ირჩევენ ტანჯვას მტავს, მეველე- ლობის ცოდვით დაიმბებულ გმირს ეონიები რომ დევნიან. მთის ხალხმა იცის, რომ სისხლია აღუ- ბ სისხლის აღლებსაც ამძიჭებს. ამიტომაც ჩანერს დე- ლეში ავტორი: „სვანეთში ძველ ხალხს აქვს ნათ- ქვები, რომ კაცის მოკვლა ადამიანს ჯანს ატლს ანას ისინიც დასატყურებენ, ვისაც შურისძიების მი- ნით ან სირცხვილის გახატულების დროს გაჩვენ- ჰყავდათ კაცი მოკლული. ასეთ დროს მკვლელს მდევარი უფრო ავადობდა დაეცვათ ხოლმე“.

ეს ათგვერდიანი მოგონება თოელი კაცობრიო- ბის ნებეზაღებლავს იტყვის: ღალათი, მკვლელობა- ცოდვა, შურისძიების სიმბოლე და შეძგად დიდი შუ- რებების მოწყობის დასაწყისი თავისი ნებეზით, ხატ- ზე დაფიქციოთ, მედიატორების ჩარევით... ამბის ბოლოს უკიდურესად ტრაგიკული პერსონაჟი შე-



მოდის - სისხლის ამღებთა მიერ მოკლული ძმების მამა, ბრძენი და ღირსეულ კაცი, რომელიც ძალიან მგავს ჩვენთვის კარგად ნაცნობ ლიტერატურულ პერსონაჟებს. მოუხედავად დიდი ტკივილისა, ის ცდილობს, არ დაკარგოს მკაცრი და სამართლიანი განსჯის უნარი: „ჩემი ახალგაზრდა და ცხოვრების ნაკლებად მცოდნე უბედური შვილების დაუფიქრებელმა საქციელმა დალუპა კაცი, დააოხრა ოჯახი, დიდი წვალება და გარჯა შეამთხვია მთელ სოფელს, რომელიც რამდენიმე დღე ტყე-ღრეში ეძებდა მოკლულის ცხედარს...“ და მკითხველიც ამ ამბის მონანილებთან ერთად სუნთქვამკერული ელოდება ცხოვრებისაგან ნატარჯი შაშის განაჩენს.

ამ ამბავზე ერთი დიდი რომანი დაიწერებოდა, რომანი, რომელიც გაგვაოცებდა მწერლის წარმოსახვის უნართა და ფიქრის სიღრმით. არადა, ნამდვილი ამბავია.


ომინდე (იოანე) კორძაიას დღიურები მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის სევანეთის ცხოვრებას ასაბავს. საყურადღებოა ჩანანერების ისტორიულ პირობებზე. მაგალითად, აქ არის ამბავი იმაზე, თუ როგორ ჩასულა ფილიპე მახარაძე ნანისკვილარში გზის დამთავრების აღსანიშნავ სახეიმო ღონისძიებაზე და როგორ არ მოსწონებიათ ის სევანებს და ა.შ. ისტორიული ფაქტების გარდა, უზრალო ადამიანების ყოფაც არანაკლებ საინტერესოა. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება საუკუნის დასაწყისის სკოლა სევანეთში, როგორ თამაშობენ ბიჭები მესვენებაზე ჭერში ჩამოკიდებული ქუდის ფეხით ჩამოვადებობასას,

როგორ იპარავენ ღორს სკოლის გამოსაშვები ქეიფისათვის და როგორ მღერიან (თავად ჩანანერების ავტორი სევანეთში ცნობილი მოზარე ყოფილა). აქ შესხედებით მთელ სევანეთში ცნობილ ყაჩაღ პეტრეს, აქ არის ბადრას გამოქცეული არტენი, 19 კილომეტრი თოვლში ფეხშიშველმა რომ გამოიარა, აქ ყველა პერსონაჟი რეალურია, ზოგი ტყვიანი და ზოგიც - „ნაპულ“ (როგორც განმარტებულია - „გადახარბილი“).

ავტორს გარემოს ფაქეზი აღქმა აქვს, ნამდვილი ბუნების შეილისა. გვიამბობს უმატრონოდ დარჩენილ გაველურებულ ძაღლებზე, მსჯელობს, რატომ იქცევია უცნაურად ხარები, აღწერს ზეგვში ჩარჩენილი და გაყინული არჩვის ამბავს, მცირე დეტალებსაც კი ყურადღებას აქცევს: „მყინვარზე მივდიოდით, საქონელს ჩლიქები და ფოლები დაურბილდა და გაუკრიალდაო“, - წერს ერთგან („ყარ-ჩა“) და მერე თანავრძნობით გვიყვება, როგორ უფირს დარბილებული ჩლიქებით ქვებზე სიარული პირუტყვს.

ომინდე (იოანე) კორძაია ადგილობრივი წესჩვეულებების კარგი მცოდნეა და გულდასმით აღწერს სევანურ ადათებს: აღწერილია ხატზე დაფიცების რიტუალი („ცუდუბრალოდ ხატზე არავინ დაიფიცებდა“), სტუმარმასპინძლობის, სისხლის აღების, სირცხვილის გასტუმრებისა და სხვა გვარაოებული ტრადიციები. ეთნოგრაფებისთვის ამ ჩანანერებიდან საყურადღებო მასალა ამოიკრეფება.

დღიურიდან ბალსზემოფრი სევანური თემის ყო-



ფილი და სოციალური ჩვევების შესახებაც ბევრს ვიცვით: როგორია აგებული ურთიერთობები გვარისა და ოჯახის წევრებს შორის, როგორია უფროს-უმცროსის დამოკიდებულება, როგორ იქცევიან შინ თუ გარეთ. აი, ერთი მაგალითი: სამუშაოზე მიმავალთ თავისი წესები ჰქონდათ: ჯერ ყველაზე ხნიერის საგზაუს შექამდნენ, რომ ტვირთი მალე შემსუბუქებოდა.

ტექსტში პარემიოლოგიური ფონდისთვის საინტერესო მასალაც იძებნება. მთხრობელი უხვად იყენებს სევანურ ანდაზებს: „ღარიბ ოჯახში მოხვერი ადრე ისინდნება“ (გვ. 41), „ისეთ დიდ სადარდელს მოეცემ, რომ წინა დარდი სულ დაგავიწყდესო“ - ასე უთხრაო ღმერთმა დამწერებელს კაცს“ (გვ. 52), „გაჭირვება ადამიანს ნელა იწას გააღვიწყინებსო“ (გვ. 80), „ყველაფრისთვის მტერიც არ იმეტებს მტერსო“ (გვ. 15), „ორი სკვინა ჩიტი სხვის დერეფანზე გამოფენილი მარცვლის გაში ჩხუბობდაო“ (გვ. 107) და ა.შ.

„ჰამბაგი - ნაქმართ თხრობა... ნაქმართ საქმეთა მზობა“, - ასეა განმარტებული ეს სიტყვა სულხან-საბას „სიტყვის კონაში“. ამ მოვლენებითა კრებულშიც სწორედ ჩვენს შინამორბედთა „ნაქმართ საქმეთა“ მოთხრობილი, 1920-1960-იანი წლების სევანეთის დოკუმენტური ისტორია. ალბათ ანტიკომაც უწოდეს კრებულს „სევანური ამბები“.

„სევანური ამბები“ 2016 წლის გაზაფხულზე ლიტერატურის მუზეუმმა გამოსცა. წიგნის გამოცემა მუზეუმის დირექტორის - ლამა ბაქრაძის იდეა იყო,

რათა ეს საინტერესო წყარო, დღიურები - ყველაზე მნიშვნელოვანი მონაცემი იხსტორიისა, - მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომი გამხდარიყო. ტექსტს სევანურიდან ქართულად თარგმნა არსენ კორძაია. მთარგმნელს ეკუთვნის თანდართული კომენტარებიც, სხვათა შორის, არსენ კორძაია არის ასევე ავტორი კრებულისა - „სევანური ანდაზები“, რომელიც 2000 წელს გამოიცა. სამომავლოდ დღიურების დედანიც თუ დაიბეჭდება, ენათმეცნიერებისთვის ეს ფასეული იქნებოდა. „სევანური ამბების“ რედაქტორია ანა კორძაია-სამადაშვილი. წიგნში გამოყენებული ფოტომასალა ძირითადად 1929 წლიდან დათარიღებული და ცნობილ გეოგრაფსა და გლაციოლოგს - უილიამ ოზგუდ ფილდს ეკუთვნის, რომელმაც 30-იან წლებში იმოგზაურა კავკასიაში. აქ არაა ენგურში ლოდზე მდგარი კოშკი კალა-იფარის გზაზე, ეკლესიაში დაცული ფიგურა ხატებისა და ფელხანერების ფოტოები, ცხენზე ამხედრებული თავადი მურზაყან და დამიკელიანი ხაიში-მესტიის გზაზე 1929 წელს, მგზავრების გადასვლა უდედტეხილზე, ლიონი თავისუფალ სვანეთში და სხვა უნიკალური კადრები სევანეთის ციოფერებიდან.

P.S. ზემოთ ავტორის შესახებ აღვნიშნეთ: უთქმელი კაცი ყოფილა, ოჯახში არავის სცოდნია, რომ დღიურებს წერდა, თავისთვის წერდაო! მაგრამ არც იგრეყოფილა საეჭო, თურმე წვირძის მკვიდრი ომინდი (იოანე) კორძაია ჩვენივე, ჩვენი ისტორიისთვის წერდა.



მწერალთა სახლი
ქ. თბილისი, 0105, ი. მაჩაბლის ქ. N13
Writers' House of Georgia
Tbilisi, 0105, 13, I. Machabeli St
(+995 32) 297 4101, (+995 32) 297 4102
info@writershouse.ge | www.writershouse.ge



კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მწერალთა სახლის ლიტერატურული კონკურსი „ლიტერა“

მწერალთა სახლი აცხადებს ლიტერატურულ პრემია „ლიტერა“ კონკურსს 5 ნომინაციაში:

- წლის საუკეთესო პროზაული კრებული;
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული;
- წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზა;
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი;
- წლის საუკეთესო დებიუტი.

თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით. ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2016 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები; პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს წიგნის პირველი გამოცემა; წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლის მიერ; გამომცემლობებმა თითოეულ ნომინაციაში შეიძლება წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა; კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ჟიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება; ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენ ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებები ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება; გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით. ჟიური იტოვებს უფლებას გამოაკლისოს სახით ერთგვარადად დაუშვას პრემიის გაცემა ერთ ან ორ ნომინაციაში. ამ შემთხვევაში საპრიზო თანხაც გაიყოფა ორად.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2017 წლის 31 იანვარი.

კონკურსანტების მოკლე ნუსხას ჟიური აპრილის დასაწყისში წარადგენს. გამარჯვებულების გამოვლენა მოხდება 25-30 აპრილს

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;
- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლარად);

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვანოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge;

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით info@writershouse.ge

ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02

ქა ბეიძეაბა ყოფილიყო თქვენი რაქნაბე

საქართველო
საზღვრომთავრო

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

541/102

